№ 166

1877–1905

№ 166

შაბათი, 17 სექტემბერი

შაბათი, 17 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება: ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
შაბათს 17 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება
„აიდა“
ოპერა 4 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ვერდისა, თარგ. გრ. ობიჩარისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, კარრი; ბ-ნნი: დონსკოი, სოკოლსკი, დრაკული, თომაშევიჩი, ვოლსკი. ახალი დეკორაცები დეკორატორის ბ-ნ ნოვაკისა; ახალი ტანსაცმლები და ბუტაფორია.
ბალეტს განაგებს ბალეტმეისტერი ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
დირიჟორი დ. ბ. შტეინბერგი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ანონსი: კვირას, 18 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება **„ევგენი ონეგინი“**, ოპ. 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
ბილეთები იყიდება.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის სექტემბრის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო **საგანგებო კრება.**

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, თავჯდომარის ამხანაგისა და წევრების არჩევანი.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიის და ახალის შენობისათვის სარევიზო კომიტეტის წევრთა არჩევანი.
3. საკითხი გიმნაზიის რეორგანიზიციის შესახებ.
4. სხვადასხვა საკითხები (4—2).

პ. ნ. ფრიდონოვისა, სავაჭრო სახლის „**ძმათა სეილანოვებისა**, **გ. ზ. გოზალოვისა**, **ზ. დ. პოპოვისა** და **ე. ა. ატოვმიანის**
ფაბრიკებმა ტფილისში დააარსეს
ამხანაგობა კონფეტების
ფაბრიკისა „ფრიდონ“
ბატონ მომხმარებელთ ვსთხოვთ მიჰმართონ ხოლმე ფაბრიკის კანტორას: **პავლოვის ქუჩა**, სახლი № 12, ტელეფონი № 362 და „ძმათა სეილიევოვებისა“, გ. ზ. გოზალოვისა და ზ. დ. პოპოვის მაღაზიებს. 3—1

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხელ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ქ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
გ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **პ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 **სუთხეში**, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 18.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ეროვნული საკითხი და ტერიტორიალური საოლქო ავტონომია.

თუმცა ქართულ პრესსაში ხშირად ყოფილა წერილები ეროვნულ საკითხისა და ეროვნულ თვითმართველობის შესახებ, მაგრამ ამ საგანზე განმეორებით წერა და მსჯელობის გაშარავება,— ჩვენ გვგონია,—არ უნდა იყოს მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული, რადგან ეს ისეთი საგანია, რომელიც მთელი ერის სულიერ არსებას სწვდება, და მისი სისწორით გარკვევა და შესაფერად ცხოვრების მოწყობა აუცილებელი პირობაა ჩვენი ხალხოსნურ განვითარებისა და წარმატებისა. ამიტომ, ჩვენის აზრით, ყოველი მოსაზრება, რომელიც ამ საკითხს შეეხება, დიდის გულდასმითა და ყურადღებით არის მოსასმენი და ასაწონ-დასაწონი.

[illegible] აზრს, რომელსაც ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ. მართალია, იგი ამას გადაჭრით არ ამბობს, მაგრამ მისი წერილიდან მკითხველი იმ შთაბეჭდილებას გამოიტანს, ვითომ ეროვნული საკითხი იყოს კლასობრივი საკითხი ბურჟუაზიისა. იგი სწერს, რომ „ჩვენი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიას თავის პოლიტიკურ პროგრამაში შეაქვს ახალი სპეციალური მუხლები შესახებ ეროვნულ საკითხისა, და ამ შემთხვევაში მას უერთდება დიდი ნაწილი საშუალო ბურჟუაზიისა“ო. რა მუხლებია ეს მუხლები, რომლებიც თურმე ბურჟუაზიას შეაქვს „თავის პოლიტიკურ პროგრამაში“? ეს „ბურჟუაზიული“ მუხლები, ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის აზრით, მოკლედ შემდეგ მოთხოვნაში გამოიხატება: „ბურჟუაზია თხოულობს, კავკასიის ხალხი გადირჩეს, გადირკვეს და განაწილდეს ეროვნულ კანის მიხედვით, რომ თითოეულმა აქ მოსახლე ერმა ვიწროდ შემოიფარგლოს თავთავისი სამრევლო“.

ამ გვარად, როგორც ხედავთ, ტერიტორიალურ—ეროვნულ თვითმმართველობის მოთხოვნა, ე. ი. ისეთი ავტონომია, რომელიც ერთ ეროვნულ ტერიტორიით განისაზღვრება, ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილს ბურჟუაზიულ მოთხოვნად მიაჩნია. მაშასადამე, მისი შეხედულებით, ასეთ მოთხოვნას, ვითარცა ბურჟუაზიულს, მხარს ვერ დაუჭერს ნამდვილი დემოკრატი, რომელიც არაა „ვექილი ანუ იდეოლოგი“ ბურჟუაზიულ კლასობრივ მისწრაფებათა.

მერე, რით ამტკიცებს ბ-ნი დარჩიაშვილი ტერიტორიალურ—ეროვნულ ავტონომიის ბურჟუაზიულ ხასიათს? სამწუხაროდ, იგი ამ დახასიათების სისწორის გამოსამჟღავნებლად არავითარ საბუთებს არ იძლევა და კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ ამბობს: ამას „ბურჟუაზია თხოულობსო“.

გავჩერდეთ მაშ ამ საბუთზე. წარმოვიდგინოთ, რომ საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილ საქართველოს თვითმართველობას თხოულობს მარტო ქართველი ბურჟუაზია, თუმცა ნამდვილად ეს მართალი არაა, რადგან ამავე მოთხოვნას მხარს უჭერენ და მის იდეას ავრცელებენ ჩვენში იმგვარ პარტიისა და მიმართულების კაცნი, რომელნიც სოციალიზმს აღიარებენ და, მაშასადამე, ბურჟუაზიას კლასობრივ ბრძოლას უცხადებენ. ვთქვათ, რომ საქართველოს თვითმართველობას თხოულობს მარტო ბურჟუაზია და ხალხი ხმას არ იღებს მასზე. ვსცნათ ეს ერთ წუთს ფაქტად და ვიკითხოთ: რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ ფაქტიდან? მოასწავებს ეს გარემოება, რომ ეროვნულ თვითმართველობის მოთხოვნა არსებითად ბურჟუაზიული პოლიტიკური მოთხოვნაა?

ჩვენ გვგონია, რომ არა, რადგან რაიმე მოთხოვნის ხასიათის გასაგებად საკმარისი არაა იმის ცოდნა, თუ ვინ უჭერს მას პირველად მხარს. თუნდაც წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს თვითმართველობა ბურჟუაზიამ მოითხოვა, აქედან ლოღიკურად ის დასკვნა ვერ გამოიყვანება, რომ ხსენებული მოთხოვნა ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველია; ბურჟუაზიის მხრით ხმამაღლა მოწონება ეროვნულ თვითმართველობისა და „ხალხის“ მხრით ჩუმად ყოფნა იმავე თვითმართველობის შესახებ არ მოწმობს უეჭველად, რომ აღნიშნული მოთხოვნა ხალხისთვის საზარალოა და ბურჟუაზიისთვის სასარგებლო. ყოველ პოლიტიკურ მოთხოვნას ახასიათებს მისი შინაარსი და არა გარეგანი გამოხატულება.

ეს ისე მარტივი აზრია, რომ მას მაგალითებით დამტკიცება თითქმის არც ესაჭიროება. მე-19 საუკუნის მე 30 წლებში ევროპის მუშები მაშინებს ამტვრევდნენ და ამით ტეხნიკის განვითარებას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ვისმე ეფიქრა, რომ მუშათა კლასის მისწრაფება არსებითად წინააღმდეგია ტეხნიკის განვითარებისა. დედა-ენის დაჩაგვრის წინააღმდეგია, როგორც შეგნებული ბურჟუა, ისე პროლეტარიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედა-ენის დაცვა მისწრაფებაა მხოლოდ ბურჟუაზიული ან მხოლოდ პროლეტარული.

ასეა ეროვნულ თვითმართველობის შესახებაც. მისი მოთხოვნა არ ნიშნავს ბურჟუობას იმ საფუძვლით, რომ მას ბურჟუაზიის წრის კაცებიც უჭერენ მხარს. ეროვნული მოთხოვნა მით განსხვავდება კლასობრივისაგან, რომ იგი, ვითარცა საერთო ეროვნულ ინტერესის გამომხატველი, მომხრეებს პოულობს ყველა პროგრესიულ ნაწილებში და ამგვარად ხდება მოთხოვნილებად ერის უმრავლესობისა. რაიმე მოთხოვნას, სისწორისა და სამართლიანობის მხრით, არა დააკლდება რა მარტო იმ საფუძვლით, რომ დღეს მას, მაგალითად, მუშათა ესა თუ ის ჯგუფი არ ემხრობა. მუშას დიდის მუცლიდან სოციალიზმის ცოდნაც არ გამოუტანია; მან ეს იდეალი მერე გაიგო და, როცა შეიგნო მისი სარგებლობა და თავისი აწინდელი მდგომარეობა, კიდეც გახდა მისი მომხრე.

[illegible] თვითმართველობის მომხრეო, იმან ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ხსენებული თვითმართველობა მავნებელია მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის.

ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი-კი ამის დასამტკიცებლად საბუთებს არ იძლევა, თუ იმას არ ჩავთვლით საბუთად, რომ ერთ ეროვნულ ტერიტორიაზე ყოველთვის რამდენიმე ერი ცხოვრობს და ამიტომ ავტონომიით უმცირესობა დაიჩაგრებაო. მაგრამ ჩვენში ავტონომიის არც ერთ მომხრეს არ უთქვამს, რომ საქართველოს თვითმართველობა უნდა იყოს იარაღი უმცირესობის შემადგენელ ერების ეროვნულ დაბეჩავებისა. ჩვენ ვამბობთ, რომ ეროვნული თვითმართველობა კონსტიტუციით უნდა აძლევდეს გარანტიას ყოველ მცირე რიცხვოვან ხალხს, რომ მისი ეროვნული ინტერესები გათელილი არ იქნება უმრავლესობისაგან.

ბ-ნ დარჩიაშვილისაგან აღნიშნული გარემოება თუ ჩავთვალეთ ეროვნულ თვითმართველობის დაუძლეველ დაბრკოლებად, იმ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოდ არსად არ არის შესაძლებელი პოლიტიკურ სამართლიანობაზე დამყარებული ეროვნული თვითმართველობა, ვინაიდან არსად არ არსებობს ისეთი ერი, რომელშიაც არ ერივნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი.

თვითონ ბ-ნი დარჩიაშვილი, როგორც მისი წერილიდან სჩანს, მომხრეა საერთო კავკასიის ტერიტორიალურ საოლქო ავტონომიისა. მაგრამ იგი აქაც არაფრით არ ამტკიცებს, თუ როგორ ხდება, რომ იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა ეროვნებანი კიდევ უფრო არეულნი და შედარებით ყოველ წვრილმან საქმეებშიაც კანონმდებლობით დამოკიდებულნი იქნებიან ერთმანეთისაგან, ეროვნულ უმცირესობათა არსებობა რად არ უშლის ხელს თვითმართველობის შემოღებას სწორედ ის ეროვნული შუღლი და ბრძოლა, რომელსაც მოელის იგი ტერიტორიალურ-ეროვნულ თვითმართველობის არსებობის დროს, ნამდვილად უფრო მაშინ გაჩაღდება, როცა ეროვნული ერთეულები არ იქმნებიან თავის საკუთარ საქმეებში დამოუკიდებელნი და მათ მუდამ ჟამს მოუხდებათ ანგარიშის გაწევა იმ განწყობილებასთან, რომელიც წარმოსდგება სხვადასხვა ეროვნებათა რაოდენობითის და კულტურულის სხვადასხვაობისაგან.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ერთად-ერთი საშუალება კავკასიაში მშვიდ და ნაყოფიერ კულტურულ განვითარების ასაღორძინებლად არის საზოგადოდ დემოკრატიულს საფუძველზე დამყარებული თვითმართველობა, რომელიც ერთის მხრით იქნება ტერიტორიალურ-ეროვნული და მეორის მხრით ტერიტორიალურ-ოლქობრივი. პირველი უნდა აძლევდეს თითოეულ ეროვნებას მის ფარგალში თავისუფლებას, ხოლო მეორე უნდა აკავშირებდეს სხვადასხვა ეროვნებათ იმ საქმეების მოსაწესრიგებლად, რომლებიც საერთო და მთელ მხარეს შეეხება.

* * *

სახალხო ლექციები

—

სახალხო განათლების საქმეს, ხალხში ცოდნის გავრცელებას დღემდის ათასი უძლეველი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. უნდობლობამ ამ საქმეში უკიდურეს წერტილამდე მიაღწია. საკმარისი იყო მოგესურვებინათ ხალხისთვის თავისი ცოდნის გაზიარება, თავის ცოდნის საჯაროდ გამოტანა, რომ არა საიმედო პირთა რიცხვში ჩაირიცხებოდით, ხოლო თუ რას ნიშნავს ასეთი ჩარიცხვა, ეს ყველამ კარგად იცის... კვალდაკვალ მოგდევდნენ, პირში გიყურებდნენ,—ეგებ რამე წამოსცდეს, ხელი ვსტაცოთო. ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ, ასეთმა შეუწყნარებელმა შებოჭვამ პიროვნებისა და საზოგადოებისა შეუძლებლად გახადა ყოველგვარი თავისუფალი მოქმედება ხალხში.

ყველამ კარგად იცის, რომ სკოლები ჩვენში მეტად მცირე რიცხვოვანია. ამასთან ეს სკოლები იმდენად მცირე სად ცოდნას იძლევიან, რომ სახსენებლადაც არ ღირს. იდეალურადაც რომ მოეწყოს სახალხო სკოლა, მაინც არ იქნება საკმარისი სკოლის მიერ მოცემული განათლება. თუ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ ადამიანი არ განაგრძობს განათლებას, არ ვარჯიშობს გონებრივად, მას მოკლე დროში სრულიად დაავიწყდება ის ცოდნის ნამცეციც, რომელიც სკოლამ მისცა, და საზოგადოდ გაუქრება გონებრივ ინტერესი. შეუწყვეტელი გონებრივი ვარჯიშობა, შეუწყვეტელი მისწრაფება ცოდნისადმი გონებრივ სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. ხოლო კაცი უმეცარი, გონებრივ ინტერესებს მოკლებული, ინდივიდუალურად დასჯილია. ის მოკლებულია საშვალებას იგემოს უმაღლესი სიტკბოება. ამასთანავე ის მავნეც არის თვით საზოგადოებისა, რადგან უმეცრება, გონებრივი სიზანტე ყოველ პროგრესის ნიადაგია; იგი შეუძლებლად ხდის ადამიანის შეგნებულ მოქალაქობრივ მოქმედებასაც. გაუნათლებელი მოქალაქე ვერ გაითვა- [illegible] სების დაცვას. ხოლო ასეთი მეუგნებლობა საშუალებას აძლევს ყოველ ხალხის წინააღმდეგ მომქმედ ძალას თავის ნებაზე იპარპაშოს და თავისი ბედნიერება უმრავლესობის გონებრივ სიბნელეზე ააგოს. მასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ შეგნებული მოქალაქობრივი მოქმედება მოითხოვს თანამედროვე სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას. თუ გსურთ შეგნებულად იმოქმედოთ, უსათუოდ საჭიროა გაითვალისწინოთ ის რთული სოციალური პირობები, რომელშიაც მოქმედობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უნდა კეთილი განზრახვა გქონდეთ, რაც უნდა იდეალური მისწრაფებანი გასაზრდოვებდეთ, წარმოსადგენია ბევრი ისეთი შეცდომა, ისეთი მოქმედება, რომელიც ფეხს წაგაკვრევინებს და საქმეს ავნებს.

ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველთვის ყოველ სერიოზულ დემოკრატიულ მოძრაობას თან ახლავს ხალხის გონებრივი გამოღვიძება. ხალხი საოცარის გატაცებით ეწაფება ცოდნას, რომ გონებრივად გამაგრდეს, გაღონიერდეს...

ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში დღევანდელი მომენტი განსაკუთრებული დრო არის. ხალხის ისტორიამ არ იცის ისეთი დრო, როცა უმრავლესობა ცხოვრების პირობების შეცვლის მისწრაფებით ასე გატაცებული ყოფილიყოს. მთელი ხალხი გამოვიდა სოციალურ შემოქმედების გზაზე, ცდილობს შესცვალოს მთელი წინანდელი არსებობის საფუძველი და შექმნას სოციალური ცხოვრების ახალი სახე. ასეთ დროს განსაკუთრებით ესაჭიროება ხალხს ცოდნა. აუცილებლივ საჭიროა მისთვის კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების გათვალისწინება, საჭიროა ყველა ქვეყნებში ხალხის ნამოქმედარის გაცნობა. როგორც თითოეული ადამიანი, ისე ყოველი ჯგუფი თავისი არსებობაში გონებრივად უძლურია, თუ წარსულიდან ნაანდერძევის, თანამედროვე ცხოვრების მიერ შემუშავებულ, ცოდნით არ ისარგებლებს. კაცობრიობის წინსვლის ძირითადი საფუძველი, ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემა, გონებრივი თანდათანი გამდიდრებაა. შეგნებული მოქმედება სოციალურ ცხოვრებაში გონებრივად მოუმზადებლად წარმოუდგენელია. ხალხიც ამას კარგად გრძნობს, — ჩვენ ვიცით გზა, რომლითაც ხალხამდე მიდის სადი ცოდნა, მაგრამ ეს გზა მეტად ვიწრო და ეკლიანია. ცოდნის შებოჭვა, ცოდნის ხალხისაგან დამალვა დროებით თუ შეიძლება, თორემ საბოლოოდ მაინც იგი გზას გაიკვალავს, ხალხამდე მიაღწევს.

დღემდის საჯაროდ წაკითხვა, ან გადაცემა მეტად განსაზღვრულ შინაარსის წიგნებისა თუ იყო შესაძლო. ჩვეულებრივ ცენზურის გარდა ამ წიგნებს კიდევ საგანგებო კომიტეტი სინჯავდა. ეს ცხრილი იმდენად პირ წმინდა იყო, რომ სადი ცოდნა ნაკლებად გაიპარებოდა მასში, — განსაკუთრებით სოციალურ კითხვების შესახებ. თითქმის არც ერთი წიგნი არ მოიპოვებოდა ხალხში წასაკითხავად ნება-დართული, და თუ ორიოდე წიგნი იყო, ისიც ისეთი მახინჯი შინაარსისა, რომ მისი გავრცელება ვნების მეტს არაფერს იძლეოდა. განსაკუთრებულ ცუდ მდგომარეობაში იყო არა-რუსულ ენაზე სახალხო კითხვების გამართვა. ადგილობრივ ენებზე ფაქტიურად შეუძლებელი იყო საუბარი ხალხის წინაშე, ან რისიმე წაკითხვა. ახლა, როგორც ვტყობულობთ, ნება დაურთავთ ადგილობრივ ენებზე, ცენზორისაგან ნება დართულ წიგნებით კითხვების გამართვა. საჭიროა ამ გარემოებით ვისარგებლოთ, საჭიროა მოიპოვოს მოქალაქობრივი უფლება იმ წესმა, რომელიც უზრუნველჰყოფს ცოდნის თავისუფალ გავრცელებას. საჭიროა ფაქტიურად მოისპოს ყოველი დაბრკოლება, რომელიც ყოველთვის წინ ეღობებოდა ხალხის კულტურულ განვითარებასა და თვითშეგნებას.

პ. სურგულაძე.

* * *

მოძრაობა კავკასიასა და საქართველოში

(პროფ. ნ. მარრის წერილიდან)

კავკასიაში ძველი რეჟიმი ზოგან მძლავრად შერყეული შეიქმნა, ზოგან კიდევ ფაქტიურად სრულებით გაუქმებულია. ამ რეჟიმის დამცველებს მხოლოდ ფიზიკურ ძალის იმედი-ღა შერჩენილი აქვთ, ზნეობრივი ძალა კი სრულებით მოესპოთ. ახლა იქ, კავკასიაში, ძველი დროის წესებს დიდი ბრძოლა აქვთ გამართული ახალ დროის მოთხოვნილებასთან. ბაქოს ამბები ამ ბრძოლის ერთ-ერთი სამწუხარო მოვლენა არის, და აი, ამ დროს ზოგიერთები ცდილობენ წამოაყენონ მოძველებული თეორიები რაღაც ეროვნულ მიზნების და „პანისლამიზმის“ შესახებ, „სომეხთა ინტრიგებისა“ და „თათართა უკულტურობის“ შესახებ, ლაპარაკობენ იმაზე, რომ სომხებს რაღაც ბუნებით აქვთ შესისხლხორცებული პროგრესიული მიმართულება, რომ სომხები და მაჰმადიანები არიან ამ მოძრაობის მიზეზი და სხვა, და სხვა.

[illegible] სათვის... ავიწყდებათ, რომ ბაქოში ჰხდება ის დიადი პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ახლა მთელ კავკასიას მოედო და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სოფლების საუკეთესო ძალები. ბაქოში მხოლოდ გამომჟღავნდა იმის შედეგი, რაც ჩაუდენია ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში კავკასიის ადმინისტრაციას.

სასაცილოა, როდესაც ბაქოს ამბების მიზეზად ასახელებენ მხოლოდ ეკონომიურ მიზეზებს. არც ის არის მართალი, როდესაც მიზეზად მიაჩნიათ მხოლოდ ეროვნული თეორიები. ბაქოში ორი ეროვნება ცხოვრობს: სომხები და მაჰმადიანები, მათში ერთმანეთის წინააღმდეგობა უწინაც იყო, მაგრამ სხვა დროს ისინი მაინც ახერხებდნენ ერთად მშვიდობიან ცხოვრებას. როდესაც ცხოვრება ბუნებრივ განვითარების კალაპოტს არ გასცილებია. მათი წინააღმდეგობა კულტურულ ქიშპობის ხასიათს იღებდა. მაგრამ როდესაც შეირყა საზოგადოების ჩვეულებრივი წყობილება და ამ წყობილების მომხრენი ცდილობდნენ საზოგადოების ნაძირალ ძალების დახმარებით შეერჩინათ ბატონობა სახელმწიფოში, მაშინ ეს მშვიდობიანი განვითარება შეუძლებელი შეიქმნა.

ხალხის მოძრაობა კავკასიაში სოფლებიდან ქალაქში გადადის და არა ქალაქიდან სოფლებში. დიდი ქალაქები კავკასიაში მხოლოდ შესაფერი ასპარეზია, სადაც თავს იჩენს ის მოძრაობა, რომელიც მთელ კავკასიის ხალხშია მოდებული.

მაჰმადიანებში თუ უფრო ხშირია მხეცური ინსტინქტები, ამის მიზეზად არ უნდა დავასახელოთ არც ისლამი, და არც თათრობა ან სპარსელობა. არა, ნამდვილი დამნაშავე უნდა დავასახელოთ და ეს არის ის რეჟიმი, რომელმაც ასი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა კავკასიაში მაჰმადიანების განვითარება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ, კავკასიაში, ახლა ძველი პოლიტიკური რეჟიმი ებრძვის ახალს რეჟიმს, ახალ წყობილებას, რომელმაც დიდი ხანია, უკვე მოიკიდა ფეხი კავკასიელთა აზროვნებაში. ძველი რეჟიმი არავითარ საშუალებას არა ზოგავდა იმისთვის, რომ ჩამოეგდო სხვადასხვა ეროვნებაში ან სხვადასხვა წოდებაში განხეთქილება.

ის დიადი ხალხური მოძრაობა, რომელიც კავკასიას მოედო, სხვადასხვა მიმართულებას შეიცავს და ყველა მიმართულების პარტია თავის პროგრამაში იტოვებს რუსეთთან ერთიანობას და ის პარტია მეტ მომხრეს პოულობს ხალხში, რომელიც უფრო მტკიცედ მოითხოვს ამ ერთიანობას. ამიტომ მეტი ძალა და გავლენა კავკასიაში მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც არა აქვს ადგილობრივი ნაციონალიზმი, და მათში კიდევ, მართლმორწმუნე სოციალ-დემოკრატებმა და არა ფედერალისტებმა.

უბრალო ლიბერალებს, რომელთაც ბურჟუა-

ეროვნული

ზიულ ლიბერალებს უწოდებენ, მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი სხვა პარტიებს კუდში მისდევენ და ამრავლებენ. ნაციონალ-ლიბერალებს და ნაციონალისტებს ზიზღით უცქერიან,—ისინი ყველას ძველ რეჟიმის მომხრედ მიაჩნიათ, კომპრომისების წარმომადგენლებად.

ამ დროს ზოგიერთ სატახტო გაზეთის ჩივილი სომეხთა ეროვნულ მიზნების შესახებ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამ გაზეთებს ადგილობრივ მოძრაობისა არაფერი არ გაეგებათ. პირიქით, პროგრესიულ პარტიების აზრით, სომხებმა სახელი გაიტეხეს იმით, რომ დიდის ამბით გადაიხადეს საეკლესიო მამულების დაბრუნება და სხვადასხვა სამადლობელი წერილები და ადრესები გაუგზავნეს და ამითი მხარი დაუჭირეს ძველ რეჟიმის დამცველ ადმინისტრაციას. მაგრამ დიდი შეცდომა არის, როდესაც ფიქრობენ, ვითომც სომხებს კავკასიის ახლანდელ მოძრაობაში რამე განსაკუთრებული მონაწილეობა ჰქონდეთ.

დიდი შეცდომა მოუვიდა ადმინისტრაციას ქართველების შესახებ. მას ეგონა, რომ ზოგიერთ სამსახურში ქართველების მიღებით ქართველ ერს მიიმხრობს. ხალხმა ადმინისტრაციის ასეთი პოლიტიკა სხვანაირად გაიგო,—„გზა-კვალი აებნათ მთავრობას", და მართლაც ერთის მხრივ გურიაში რევოლუციის წესით შემოღებულ სახალხო სასამართლოების შესასწავლად ადმინისტრაცია უმაღლეს მოხელეებს გზავნიდა იმ მიზნით, რომ ამ სასამართლოს არსებობა დააკანონოს, და მეორეს მხრივ კი იქითკენვე გზავნიდა ჯარებს ამ სასამართლოების გასაუქმებლად. აგრეთვე მოიქცა მთავრობა სასწავლებლების შესახებ, მის დაგვიანებულ ცდაზე,—უარყოს გამარუსებელი სისტემა, სასწავლებელთა კრებამ უპასუხა გადაწყვეტილებით, რომ დაიხუროს ყველა სასწავლებელი სანამ ხალხისგან შემუშავებულ სამოსწავლო პროგრამას არ მიიღებს სავსებით მთავრობა.

ნამდვილი და ძირითადი რეფორმები სჭირია კავკასიას. მოსაჩვენებელი რეფორმები, ცხოვრების ზედაპირული შეცვლა ვერ ააშორებს კავკასიას უბედურებას შემდეგში, ვერ ააცდენს საშინელ სისხლის ღვრას.

კავკასია განსაცდელშია. მთავრობის სისუსტისა და უმოქმედობის გამო, მისი მაგიერობა ბევრგან ძალაუნებურად თვითონვე იკისრა ხალხმა. ზოგან ხალხმა სრულებით გააუქმა მთავრობა.

გურიაში არ არსებობს არავითარი საფუძველი ეროვნულ, წოდებრივ ან კლასიურ განხეთქილების გამოსაწვევად. თავად-აზნაურობას იქ იგივე ინტერესები აქვს, რომელიც ასულდგმულებს გლეხობას. ორიოდე გამონაკლის საქმის ვითარებას არა ცვლის და ახლა ასეთი გამონაკლიც აღარ არსებობს, რადგანაც ყველა ასეთი პირი გურიიდან გავიდა.

გურიაში რომ ჩავედი, იქ არც პოლიცია დამიხვდა, არც სტრაჟნიკები, არც კაზაკები და სხვ., თუმცა ახლაც ისევე ძველებური გაჭირება სჩანს ყველგან, გაუგებარ ხალხის გაყვლეფა გაძვერათაგან, ათასნაირი ცრუმორწმუნეობა, ცხოვრების სიძვირე, თითქმის წინანდელზე ზედმეტი სიძვირე.

სამაგიეროდ თავისუფლება სრულია, პრესსის, სიტყვის, სარწმუნოების, წარმოების თავისუფლება. აქ დაუბრკოლებლივ მოსდით და იკითხის ადებ-მიცემობასა და დროს ტარების იდიხება ისეთი გამოცემები, რომლის შენახვისთვისაც კი სხვაგან შესამჩნევ სასჯელს აყენებენ. მაგრამ გურულებს, როგორც ეტყობათ, ახლა თავისუფლების გარდა კიდევ სხვა რაღაც უნდათ, რაღაცას ცდილობენ. მართლაც რა იქნება შემდეგ? სანამ მთელ რუსეთში დამყარდებოდეს სრული თავისუფლება, ისეთი თავისუფლება, როგორიც ახლა გურიაში უკვე შემოსულია,—გურულებს არაფრის მიღება არ უნდათ და არც არაფრის მიცემა უნდათ. ჯერჯერობით კი სოფლად სდუღს საზოგადო ცხოვრება. კრება კრებას მოჰყვება და გარეშე კაცი გიოცებული რჩება, როგორ ახერხებენ სოფლელები მთელ დღეობით კრებაზე დასწრებას, როდესაც ყანებში დიდი საშრომელი აქვთ. დღეს სასამართლოა ხვალ პრინციპიალურ საზოგადო კითხვების გარჩევა და ცნობილ ორატორისაგან წარმოთქმულ სიტყვის მოსმენა, ზეგ ადგილობრივ საქმეების გარკვევა: სასკოლოსი, გზების და საადგილმამულო საკითხების გადაწყვეტა. ძველ რეჟიმის წარმომადგენელი მოხელეები არსად არ არიან და, სადაც დარჩენილან, უმოქმედოდ არიან გაჩერებული და ფარულად მოქმედობენ. ამიტომ ხალხში შემცდარად გაიგეს თვით ნამესტნიკის გარცხადება, რომლითაც იგი საიდუმლო და ფარულ წრეების მოსპობას მოითხოვს. გურიაში ახლაც ფარულ წოდებად მიაჩნიათ პოლიცია, ჩინოვნიკები. გურია თავის ახლანდელ ორგანიზაციას არ მალავს, იგი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, თითო ნაწილს ცალკე პირი განაგებს. ამათ ხელქვეით არიან ხალხის „წარმომადგენელნი", თითო წარმომადგენელი სამ სოფელს განაგებს, სოფლის სათავეში უდგია ასის თავი, რომელსაც ემორჩილება ათის თავები. ათის თავი მეთაურობს წრეს, რომელიც ცხრისაგან შესდგება, თვითონ კი მეათე არის. იგი წრის წევრებს სიტყვიერად ატყობინებს მომავალ კრებაში განსახილველ საქმეებს, აგროვებს საწევრო ფულს, თვეში ორ შაურს (უწინ ერთი აბაზი იყო), კრებაზე მოახსენებს დამსწრეთ, თუ რამე საჩივარი შემოიტანეს. ქაღალდზე საქმის წარმოება სრულებით მოსპობილია. სასამართლო უსასყიდლოდ არჩევს საქმეებს. სასამართლოს გადაწყვეტილება მაშინვე სისრულეში მოჰყავთ. საოჯახო საქმეებში, მაგ., გაყრის დროს, ძმები თვითონ უნდა მორიგდნენ მედიატორებით, მედიატორების გადაწყვეტილებაზე შეიძლება საჩივარი საზოგადოების კრებაში.

ზოგიერთ შემთხვევაში თვით საზოგადოება ირჩევს მსაჯულებს ამა თუ იმ საქმის გადასაწყვეტად. საზოგადოებას შეუძლიან არჩეულ მსაჯულების გადაწყვეტილება უარჰყოს და თვითონ მის წინააღმდეგ გადაწყვეტილებას დაადგეს.

ყოველ კრებაზე ხალხი ახალ თავჯდომარეს ირჩევს. ძარცვა-გლეჯის და ავაზაკობის შესახებ საქმიების [illegible] საზოგადოება ახდენს, არჩეულ კომისიის საშუალებით. ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ქურდი, ან ავაზაკი არ აღმოეჩინოს ხალხს და ამ მხრივ ყველა მადლიერია რჩება აქ სასამართლოსი. პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ იქ ავაზაკობა გახშირდა, რადგანაც გახშირდა დასჯა, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ახლა ისეთ რამეებზედაც ისჯება ადამიანი, რომელსაც უწინ არავინ არავითარ ყურადღებასაც არ აქცევდა. ზოგიერთს არ მოსწონს რომ ხალხურ სასამართლოში სასტიკი დასჯა არ არის. ვინც გამოტყდება, იმას პირველად აპატიებენ, ზოგიერთს კრებებში მონაწილეობას უკრძალავენ, ან გადაწყვეტილ ვადით ბოიკოტს უცხადებენ (ექვსი თვით ან უფრო დიდხანაც). ზოგიერთებს კიდევ აძევებენ გურიიდან. კრებებში ქალები მამაკაცებთან ერთად ესწრებიან. კრება ან გარედ ხდება, ან რომელიმე შენობაში, მაგ. სასწავლებელში. ხალხმა თუ დაიგვიანა ზარებს რეკავენ ეკლესიაში.

საინტერესოა კრებები, სადაც ხალხი პრინციპიალ საკითხებს ეხება,—საზოგადოებრივ ან სამეცნიეროს. ამ კრებებსაც ყველა ესწრება, თუმცა კამათში მონაწილეობის მიღება, რასაკვირველია, მხოლოდ უფრო განვითარებულებს თუ შეუძლიანთ. ამათში ბევრი სიმპატიური ადამიანია, რომელიც აფასებს მეცნიერებას, მის პირდაპირ სარგებლობის მიუხედავად. ახლანდელი ინტელიგენცია თუ მეცნიერებაშიაც სარგებლობას ეძებს, იმიტომ რომ იგი ბურჟუაზიული არისო,—ამბობენ გურულები. ცოდნა მიღებული აქვთ გურულებს წიგნების, ქართულ და რუსულ ბროშიურების კითხვით. ადგილობრივ მოღვაწეებს გულუბრყვილოდ სწამთ, რომ ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობა და პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება საკმარისია ხალხში ზნეობის განსამტკიცებლად, რომ მატერიალურ სარგებლობის გარეშე ადამიანში არ არის არავითარი სულიერი და ზნეობრივი მოთხოვნილება. ამ მატერიალისტურ შეხედულებით აიხსნება გურულების გულის აგრება ეროვნულ საკითხებზე და არა იმიტომ, ვითომ გურულებს საკაცობრიო მსოფლ-მხედველობა მიეღოთ.

გურიაში პოლიტიკურ სიბრძნესთან ერთად ათასნაირი ცრუმორწმუნოებაც არის დარჩენილი. ჩემ თვალ წინ ერთი გურული იჭრიდა თიკანს მომაკვდავ შვილის გადასარჩენად: ხალხში ამბობენ, რომ ეს თიკანი მომაკვდავს უნდა შემოატაროს ადამიანმა და ავადმყოფი განიკურნებაო.

უნდა აღვიაროთ, რომ ზოგიერთი მოღვაწე გრძნობს, თუ რამდენად აკლიათ მათ განათლება, და ამას გრძნობენ და სჩივიან განსაკუთრებით მუშები. „ჩვენი უბედურება ის არის, რომ თავისუფლებას მოუმზადებელი დავხვდით, განათლებაზე ადრე მოვიპოვეთ იგი". ახლა თვითგანვითარებისათვის გურიაში წრეები დაარსდა,—სწავლობენ ახლაც, ბრძოლის დროსაც კი.

მეტად გულსაკლავია ის გარემოება, რომ ქართულ მწერლობის სიღარიბე, როგორც ეროვნულ დევნულების შედეგი, იმის მიზეზი შეიქმნა, რომ გურულების აზროვნებას ასეთი ცალმხრივი მიმართულება მეცა, და ამით გაძნელდა მათგან თანამედროვე მდგომარეობის შეგნება და სადი მსჯელობა რთულ საზოგადო კითხვების შესახებ: [illegible] დება,—მათ თავისი უცენზურო მწერლობა აქვთ; ამას გარდა გურულები ცდილობენ კრებებსაც დაესწრონ, სადაც პრინციპიალურ საკითხებს ეხებიან ორატორები,—ეს კრებები მომავალ სახალხო უნივერსიტეტების პირველი მაგალითია. ერთ ამნაირ კრებაზე ლაპარაკობდა ცნობილი ორატორი ღვთისწყალობა. ეკამათებოდნენ ერთმანეთს სოციალ-დემოკრატების ორი ნაწილი, „უმცირესობა" და „უმეტესობა". ღვთისწყალობა „უმეტესობის" ორატორად იყო გამოსული მას შეეკამათა „უმცირესობის" რამდენიმე წარმომადგენელი. ღვთისწყალობის მოკამათენი ცდილობდნენ მოუმზადებელ ხალხის მომხრობას მაღალ მაღალი ფრაზებით და პირფერობითაც. მაგრამ ღვთისწყალობა არ ღელდებოდა და თანდათან არღვევდა მათ საბუთებს. ხალხში ზოგიერთს ამთქნარებდა, სამაგიეროდ სხვები გაფაციცებით უსმენდნენ ლაპარაკს. კამათი ეხებოდა სამეცნიერო სოციალიზმის განვითარებას მუშა ხალხში და მარქსის მონაწილეობას. კამათი ნაშუადღევის 2 საათიდან ღამის პირველ საათამდის გაგრძელდა ხალხიც. ბოლომდის არ დაშლილა.

ადგილობრივ ათასი საქმეა გადასაწყვეტი, ადამიანს ეგონება, რომ წინედ ადმინისტრაცია არაფერს არ არიგებდაო. განსაკუთრებით ძნელი გადასაწყვეტი შეიქმნა ადგილ-მამულების საქმე. იჯარის რაოდენობა გადაჭრილია: განსაკუთრებული კომისია სწყვეტს იმას, თუ ვიზე უნდა გასცეს მამულის პატრონმა იჯარით თავისი ადგილი. აქ უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ რაკი ადგილობრივ უმეტესად წვრილი მემამულეები არიან, ამიტომ ბევრმა მათგანმა თვითონ დაიწყო მიწის დამუშავება. ამნაირად სავალდებულო იჯარის შემოღებამ მხოლოდ ააღელვა გურული აზნაურობა, ისედაც ეკონომიურად შევიწროვებული, და ამასთან ერთად თვით გლეხობისთვისაც საზარალო შეიქმნა, რადგანაც ახლა უფრო ცოტა ადგილი იცემა იჯარით (რაზსვეტი).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი.

მოსკოვი, 15 სექტემბერი. უნივერსიტეტში სწავლა მშვიდობიანად დაიწყო.—იმ სამი მილიონი მანათით, რომელიც რახმანოვებმა შესწირეს, ქალაქმა მოსკოვის მახლობლად მდებარე ტიხვინსკის მამულში სანატორიის აგება დაიწყო.—თავმჯდომარემ, გრაფმა გეიდენმა კრება დახურა. სხდომაში 100 მონაწილე საზოგადო მოღვაწემ სადილი გამართა, პოლონელები, ლიტველები და ებრაელები რუსებს დაძმობილდნენ.—საარჩევნო აგიტაციისთვის საქალაქო კომიტეტი დაარსდა.

ოდესა, 15 სექტემბერი. ქალთა ერთმა ჯგუფმა უნივერსიტეტის საბჭოში შეიტანა თხოვნა, რომ ქალებსაც, სტუდენტებსავით, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე მისვლის უფლება მიანიჭოსო.

პარიზი, 15 სექტემბერი. როგორც ხმა დადის, ლიონიდან სამხედრო დოკუმენტები გაუტაციათ.

სტამბოლი, 15 სექტემბერი. მთავრობამ გადასწყვიტა, ბოსფორის სიმაგრეები გააძლიეროს.

ბერლინი, 15 სექტემბერი. ბიუჯეტის შედგენამ დიდი დეფიციტი აღმოაჩინა.

ლონდონი, 15 სექტემბერი. გაზეთები ისევ ხელშეკრულობის დაფასებაში არიან. „დეილი ნიუსი" ამბობს, [illegible] ინდოეთის დაცვის შესახებ არის. გაზეთს ჰგონია, რომ ამ ბუნდოვანად გამოთქმულ მუხლს შეუძლიან მეტის-მეტი აქტიური პოლიტიკა გამოიწვიოს, როგორც, მაგალითად, სპარსეთსა ავღანისტანსა და ტიბეტში მოხდაო. ამის გამო, გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, ამორჩეულ იქმნას ახალი ლიბერალური კაბინეტი, რომელმაც ეს საკითხი უფრო ნათლად უნდა გამოარკვიოს და რუსეთისა და გერმანიის კეთილ-განწყობილებას მხარი დაუჭიროსო.

მოსკოვი, 15 სექტემბერი. დეცენტრალიზაციის [illegible] გამგეობის საკითხის შესახებ ყველა ერობათა წარმომადგენლების კრებამ საჭიროდ სცნო, რომ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს კომპეტენციაში შედიოდეს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ყველა დარგი, პოლიციურიც კი. სახელმწიფოს წარმომადგენელი მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებს ადგილობრივ თვითმართველობათა კანონიერს მოქმედებას, თუ, ვინიცობაა, სახელმწიფოს წარმომადგენელსა და ადგილობრივ თვითმართველობას რამე უთანხმოება მოუვიდათ, საქმე გასარჩევად სასამართლოს უნდა გადაეცეს. ადგილობრივ თვითმართველობათ ნება უნდა მიეცეს, კანონის საზღვრებში, სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს ხოლმე. კანონმდებლობის დეცენტრალიზაციის შესახებ, 78 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 40-ისა, კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ იმპერიის ზოგიერთ ნაწილებისთვის ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესება აუცილებლად საჭიროა, კრება ადგენს, რომ, მოქალაქობრივ თავისუფლებისა და სახალხო წარმომადგენლობის დამყარებისთანავე, იმპერიის ადგილობრივი ავტონომია მოითხოვოს.—დეცენტრალიზაციის საკითხმა გაცხარებული კამათი გამოიწვია. ბევრი ამტკიცებდა, რომ ამომრჩეველთა წინ ამნაირის პროგრამის წამოყენება სრულიად შეუძლებელია, რადგანაც ისინი ფედერატიულ ოლქებს ადიარებს რუსეთის მთლიანობის დარღვევად მიიღებენო.

პეტერბურგი, 15 სექტემბერი. ჩვენ გვიგია, რომ წინააღმდეგ ტოკიოდამ მოსულ ცნობებისა, ქორეაში დროებითი ზავი იმიტომ კი ვერ ჩამოუგდიათ, რომ ჯარების უფროსებს ამისთვის საკმაო უფლებები არა აქვთ მინიჭებული, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია, იაპონიის რწმუნებულის მოთხოვნილებისაებრ, რუსეთმა ჯარი მდ. ტუმენის იქით გადიყვანოს და იაპონიას კი ნება მისცეს, მათი ჯარის მარცხენა ფრთა იარ-იერისკენ მისწიოს. მოლაპარაკება გაგრძელდება.

პორტ საიდი, 15 სექტემბერი. გემი „ნიტამა", რომელიც სუეცის არხში ჩაიძირა, დღეს ააფეთქეს.

სტამბოლი, 15 სექტემბერი. კრიტოსზე რუსების ჯარს ოთხასი კაცი კიდევ უნდა მიუმატონ.—ინსურგენტები მზადებაში არიან და ზამთრისათვის პროვიანტს აგროვებენ.

ლივერპული, 15 სექტემბერი. [illegible] შესდგა ინგლის-იაპონიის ნავოსანთა საზოგადოება, რომელსაც ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი აქვს. ამ ამხანაგობის გემები აზიას, ლივერპულს, ლონდონს, ანტვერპენს და საფრანგეთის ნავთ-სადგურებს შუა ივლიან.

პეტერბურგი, 15 სექტემბერი. დამტკიცებითი წესები პოლონეთისთვის უკვე შეიმუშავეს და მალე დასამტკიცებლად ხელმწიფე-იმპერატორს წარუდგენენ.—დილის რვა საათზე ვიტტე მოვიდა. სადგურზე აურებელი ხალხი დახვდა და „ურა"-ს ძახილით მიაგება.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

[illegible] ავსტრალიის პარლამენტში მთავრობამ შეიტანა კანონპროექტი შესახებ იმისა, რომ მთავრობას ნება მიეცეს ძალით შეისყიდოს მსხვილ მემამულეებისაგან მიწა და წვრილ მოიჯარადრეებს დაურიგოს. მთავრობას ამით უნდა უფრო მჭიდრო მოსახლეობა გააჩინოს დიდ უდაბურ ადგილებში, რომელნიც მსხვილ მემამულეების ხელში თითქმის არავითარ სარგებლობას არ იძლევიან. კანონ-პროექტის ძალით, მხოლოდ იმ მემამულეთა მიწები უნდა შეისყიდოს, რომელთაც

ფელეტონი

გუშინ და დღეს.

ხელოსნები, ვაჭრები, მრეწველები.

ბატონყმობის გადავარდნამ სასიცოცხლო ძარღვი შეაჭრა ხელოსნობას და ძველ, საშინაო მრეწველობას. მართალია, შრომის ნაწარმოებზე მოთხოვნილება მეტის-მეტად გაიზარდა, მარა იმის დასაკმაყოფილებლად საჭირო შეიქნა თვით შრომის განაყოფიერება, მრავალ ხელოსნის ერთად შეკრება, მათ შორის შრომის განაწილება, ახალ, გაუმჯობესებულ იარაღების საჭირო მასალის შეძენა; ყველა ამისათვის კი საჭირო იყო ფული, რაიც არ გააჩნდათ ცალკე ხელოსნებს. იმათ მალე გამოუჩნდათ „კეთილის-მყოფელი" ფულიანი კაცები, რომელნიც „ფოდრათით", იჯარით იღებდნენ დიდ საქმეებს, ყიდულობდნენ საჭირო მასალას, ქირაობდნენ საკმაო ხელოსნებს და პირადი „რისკით" აწარმოებდნენ და ატრიალებდნენ დაწყებულებას. რა თქმა უნდა, მთელი სარგებლობა გადადიოდა საქმის მთაოსნებელთა ჯიბეში, ხელოსნები კი იძულებულნი იყვნენ დასჯერებოდნენ მხოლოდ დღიურ სარჩენად სამყოფ ხელფასს. წინანდელ თავისუფალ, დამოუკიდებელ ხელოსნის პაწია სამუშაოს გვერდით, იმართებოდა უშველებელი, მუდმივი სახელოსნოები, საითკენაც გუდა-ნაბად აკიდებული მიშურებოდნენ—თითქოს ეშინოდათ, სხვას არ მიესწროს იქ შესვლა—ოდესღაც დამოუკიდებელი მუშაკნი.

სისწრაფით დაქვეითდა და სრულ მოსპობის გზაზე დადგა ძველი საშინაო მრეწველობაც. იგი ერთიანად დაფარა და სანთლით საძებარი გახადა „მოდნის" სამრეწველოში დამზადებულ იაფმა და ლამაზმა საქონელმა, რაიც ყველგან და ყოველთვის საშოვარი იყო. ახალი დუქნებ-მაღაზიების თარო-განჯინები მუდამ სავსე იყო ათასგვარ საქონლით; ზიზილ-პიპილებიანი ყაფაზები მუდამ „მოარშიყე" თვალებით უმზერდნენ გამვლელ-გამომვლელს, აკმაყოფილებდნენ ყველას გემოვნებას. და საშინაო მრეწველობას „უღალატა" ყველამ: ვინც წინად თავით-ფეხამდე თავის ხელითვე იმოსებოდნენ, ან ვინც ყველაფერს მზა-მზარეულად იძენდნენ და ან წლითი-წლობით გულის ფანცქალით ელოდნენ დღეობა-ბაზრობას, სადაც მილეთის ხალლიას ამთავრებდა ხოლმე ურმების ჭრიალი, ცხენთა ჭიხვინი, პირუტყვთა ბღავილი და საერთო ერიამული.

ახალმოდის იაფსა და ლამაზ საქონელს მხოლოდ ერთი უხერხულობა სჭირდა: მისი შეძენა შეუძლებელი იყო უფულოდ. ფული აუცილებელი გახდა ყოველ-გვარ საჭიროება-მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ფული მაინცდამაინც როდი იყო საძებარი. თვითონ ფულიანი კაცები დაეძებდნენ გაჭირებულთ და დიდის სიამოვნებით, დიდის „გულკეთილობით" აძლევდნენ, რამდენსაც-კი მოისურვებდნენ; ხშირად, ფულის პატრონი თვითონ „კაკლის ნაჭუჭში თავსდებოდა", ოღონდ სხვისთვის კი ხელი გაემართნა, სხვისი საჭიროება კი დაეკმაყოფილებინა. იგი ასეთ სამსახურისთვის იღებდა სარგებელს, რა თქმა უნდა, კანონიერ სარგებელს. ვისაც კი ჩვენი ქვეყნის მიწაზე ფეხი დაუდგამს, კარგად ეხსომება, სხვათა-შორის, ისეთი მაგალითებიც, როს მოვახშენი ხუთ მანეთში ინარჩუნებდნენ ხუთას მანეთის ვენახს თუ სახნავ მიწას. მევახშეთა უზომო ძარცვა-გლეჯა, უმწეოთა დაუნდობელი ყვლეფა, რა თქმა უნდა, იწვევდა ხალხის დრტვინვა-ვაებას. მაგრამ მევახშეებს მაინც გულ-მოდგინეთ დაეძებდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ მათს პატივისცემაში. მევახშენი სძულდათ და იმავე დროს [illegible] ნატრულობდნენ მევახშეობას. ეს, უწინარეს ყოვლისა, კარგად იცოდნენ მევახშეებმა და წარბშეუხრელნი, მტკიცე ნაბიჯით განაგრძობდნენ კაპიტალის მოგროვების „მღვდელმსახურებას". ოფლიდან, სისხლიდან, ცრემლებიდან მოგროვილი ფული—კაპიტალი გადადიოდა ახლად ფეხადგმულ ვაჭრობა-მრეწველობაში, რომ იქაც განევრცო თავისი საზარელი, მაგრამ ნაყოფიერი მსვლელობა, ეთამაშნა თავისი ჩვეულებრივი, ქვეყნის [illegible] და ქვეყნისავე ამაღორძინებელის როლი და შეესრულებინა შეუსრულებელი მიზანი: მეტი ფული, მეტი კაპიტალი.

ნორჩმა ბურჟუაზიამ ძლიერი მცველი და მფარველი იპოვა მთავრობაში. აქ ფხიზლად დარაჯობდნენ მის ინტერესებს. გაიჩუჩუნებდა თუ არა სადმე რაიმე მოთხოვნილება, თუ წინ-დანახული არ იყო უკვე მისი დაკმაყოფილება, თხოვნა და შესრულება მაინც ერთი იყო. ბურჟუაზია ჩიოდა, თავისუფალი მუშა ხელი მაკლიაო და მისკენ დასდასობით უკვე მიეშურებოდნენ ყელ-გადაგდებული მუშები, რომელნიც მზად იყვნენ პურის გულისთვის დილიდან საღამომდის და ხან მთელი ღამეც თავ-აუღებლივ ემუშავნათ; ბურჟუაზია ჩიოდა უგზოობას და უდაბური იმპერია რუსეთისა იქსელებოდა სამიმოსვლო გზებით; არხები, ტუნელები, რკინის გზები თუ ხომალდები შეუჩერებლივ შენდებოდა; ბურჟუაზია, თუ მისი ვექილი—მწერლები (იდეოლოგები) ჩიოდნენ: რუსეთი ძალიან გვიან გამოვიდა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე, ჩვენ არ შეგვეძლება როდისმე უცხოეთს მეტოქეობა გავუწიოთ, ერთად-ერთი ხსნა,—თუ კი ეს სადმე მოიპოვება რუსეთის კაპიტალიზმისთვის,—შინაური ბაზარია, ამიტომ ეს სრულ ჩვენს ბატონობაში უნდა იყოს, ჩვენს მონოპოლიას უნდა შეადგენდესო. და, აი, მთავრობამაც იმპერიის მთელ სიგრძე-სიგანეზე ააგო მიუვალი სადამოჟნო ციხე-სიმაგრეები.

დრო მიდიოდა და ბურჟუაზიაც შეუჩერებლივ წინ მიექანებოდა. კაპიტალიზმი გადაიქიმა მთელ რუსეთის იმპერიაზე და ვისაც ერთხელ, ჩვენ ქვეყანაში და რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებაზე ლაპარაკი უცხოეთის წიგნებიდან ამოკითხულ ფრაზების ჩმახვად მიაჩნდათ, ვისაც ეგონათ აგრეთვე, სლავიანთა სული შეურიგებელი იყო კაპიტალიზმთან, ეხლა ეს უკანასკნელი მათ ძალუმად თავში სცემდა და იქ აღძრავდა კაპიტალიზმის სადიდებლად მომართულ ზეშთაგონებას. ისტორიის ჩარხი განაგრძობდა ტრიალს და წარმოშობდა ახალ-ახალ საჭიროებათ, ახალ სულის-წრაფვათ. ფორხილობდა წინანდელი აღმაფრენა, ქვეყანას სახე ექრუშებოდა; ის პირობები, რაც წინად ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიის ნორჩ კუნთებს წესიერად ზრდიდა და ამაგრებდა, ეხლა ეს პირობები მწვავე არტახებად ჰქცეოდა, სადამოჟნო სარტყელი უფრო და უფრო უჭერდა წელში, სადამოჟნო გალავანი შეუჩერებლად იწევდა ქვეყნის შუაგულისკენ და აუარებელ იმპერიაში აღარ რჩებოდა ფეხის დასადგმელი ალაგი. ხალხი სწრაფად ღარიბ-ღატაკდებოდა, სისტემატიურად ჩნდებოდა შიმშილობა, რაიც ყელში უჭერდა ბურჟუაზიას, დგებოდა კრიზისები; ოქროს ზოდებით გაჭედილი ხაზინა თუმცა კიდევ ოქროს ფერად ელავდა, მაგრამ შიგნით—კი ცარიელი კუთხეები ჩნდებოდა. გაღატაკებულ ხალხს დღიური ლუკმა მიჰქონდა მის კასაში, მაგრამ იქ სიცარიელე მაინც ვერ ივსებოდა, საჭირო გახდა, ბურჟუაზიას ხელი წაელო ჯიბისკენ. მთავრობასა და ბურჟუაზიას შორის „შავმა კატებმა გაირბინეს". ეკონომიურმა სიდუხჭირემ შავი ღრუბლებით წარგრაგნა პოლიტიკური ცა.

ბურჟუაზია მიეცა მწარე საგონებელს და გაუთავებლად ჩურჩულებდა: „что-же намъ дѣлать? რა უნდა ვქნათ?" მისი ფიქრი და ზრახვა, მართალია, გაუბედავად, ეჭვიანობით, მაგრამ მაინც მიისწრაფოდა მფარველ-მწყალობელ მთავრობისაკენ მაგრამ, მინისტრები?—ჰბოდავდა იგი,—არა, ვიტტე ხომ ჩვენი მეგობარია, ვიტტე დაიხსნის ქვეყანას განსაცდელიდან. მაგრამ ვიტტეც მალე გადაექცა სფინქსად ბურჟუაზიას. ბურჟუაზია მაინც ელოდა და განაგრძობდა გატკეპნილ გზაზე სიარულს; იმის „სოვეტები"-დან უანგარიშოდ მიდიოდა თხოვნები, „სადაც ჯერ არს"; თუმცა უკვე გაგზავნილ მრავალ თხოვნებს კაბინეტების მტვერი სჭამდა, მაგრამ კანტი-კუნტად, ზოგიერთ თხოვნებზე მაინც მოდიოდა შესანიშნავი „გულუხვობისაგან" ნაკარნახები პასუხები. ასე, მაგ. ერთი კომპანია, რომელსაც მთავრობამ ნება მისცა უბაჟოდ შემოეტანა უცხოეთიდან მაშინები და რკინეულობა, ინგლისიდან ყიდულობდა რკინის გზის რელსებს ფუთს 17 პენსად (დაახლოვებით 68 კაპ.), მაშინ როდესაც სხვა კომპანიებს იგივე ერთი ფუთი უჯდებოდა დაახლოვებით 1 მან და 96 კაპ.*)

ამგვარი პასუხები თუ თითო-ოროლა კაპიტალისტებს ავსებდა სიხარულით, საერთოდ ბურჟუაზიას-კი ბალღამს აწვეთებდა გულში. ისტორიის ჩარხი ტრიალებდა და ეკონომიური სიდუხჭირე სწრაფად იზრდებოდა. ქვეყნის სიღრმიდანაც მოისმოდა ყრუ, მაგრამ გულ-გონების ამაფორიაქებელი, გუგუნი. „ა, ბუნტი!"—იძახდა გაფითრებული ბურჟუაზია და დაასკვნიდა: „საჭიროა ძლიერი მთავრობა! საჭიროა რკინის ხელი!" ელვასავით ხან აქ, ხან იქ ჩერდებოდნენ მაშინები, სამრეწველოები, ფაბრიკა-ქარხნები; მთელი სამრეწველო რაიონები სწყვეტავდნენ მოძრაობას, იყინებოდნენ; მუშები ათასობით ხელს იღებდნენ სამუშაოზე და გრგვინავდნენ: „ადგილი შრომას!"-ო.

რკინის ხელი ვერა შველოდა საქმეს, მდგომარეობა უფრო მწვავდებოდა. ბურჟუაზიაც ჰხედავდა, რომ მუშათა მდგომარეობა მართლაც არ იყო სანუკვეშო, რომ მათ დიაღაც რომ ჰქონდათ საფუძველი უკმაყოფილებისა, მარა ჰხედავდა იმასაც, რომ გადუხჭირებული კაპიტალიზმი ვერ დააკმაყოფილებდა მათ დღიურ ეკონომიურ მოთხოვნილებასაც. ერთი, მცირე, ნაწილი ბურჟუაზიისა, მოწოდინებული, რომ ეპოვა როგორმე მუშათა უკმაყოფილების გამოსასვლელი არხი, გაიძახოდა: „რუსეთის კეთილ-დღეობა შთანთქეს „ინოროდცებმა" და წყეულმა ურიებმა! საჭიროა წმინდა სისხლის რუსებმა, პატრიოტებმა მოუარონ როგორმე ამ საჭირ-ბოროტო კითხვასო". ამას დაუვიწყარი ველიჩკონი სათანადო ადგილობრივ პირების შესაფერ განმარტებას აძლევდნენ და მით სახელმწიფო პოლიტიკას „ოკრაინებისადმი" გზას უკაფავდნენ. ნაპოვნმა „წამალმა" უფრო გაადიაზა იარა და რუსეთის სახელმწიფო სხეულს დაასვა საზარელი ჭრილობა. მეორე, უდიდესი, ნაწილი ბურჟუაზიისა, ულვაშებ ქვეშ დასცინოდა პირველს და ასახელებდა უბედურების სხვა წამალს. რუსეთის უმთავრესი სატკივარიო, ამბობდნენ ესენი, არის ის გარემოება, რომ ნაციონალურ კაპიტალიზმს არ მოეპოვება გასატანი ალაგი, საკმაო სივრცე, გაშალოს ძლიერი ფრთები. შინაური ბაზარი სათქმელადაც არა ღირს. ჩვენი იმპერია ერთი შეხედვით ძალიან დიდია, უშველებელია, მარა ნამდვილად-კი ძალიან პატარა, ძალიან ვიწროობაა. ამის მიზეზია ქვეყნის ეკონომიური სინორჩე, განუვითარებლობა და ხალხის სიღარიბე, რაც მინიმალურად ხდის მის მსყიდველ ძალას. საერთაშორისო ბაზარზე კიდევ ჩვენებურ კაპიტალისტებს თავში უფაჩუნებენ ევროპიელნი და ამერიკელნი; სამშობლო მრეწველობის ნაწარმოები ვერ უწევს მეცილეობას მათს დიდათ განვითარებულ მრეწველობას.

მაშ სად-ღა არის ასპარეზი? საითკენ არის გასავალი? ერთიც და მეორეც უნდა იპოებოდეს და არის კიდეც ნაპოვნი: რუსეთი ხომ ტყუილად არაა მოწოდებული განახორციელოს დიადი, მსოფლიო მისსია! გასავალი?—სპარსეთისაკენ! ინდოეთისაკენ! მარა აქ გვმართებს დიდი სიფრთხილე, დიდი მოხერხება, რომ არ შეტოკდეს წყეული, ეშმაკის კერძი ინგლისელი. უნდა ვიდოდეთ ბეჯითად, მარა წყნარად, ამბობენ, რუსეთის უცხოელი მოკავშირენი. არის კიდევ ფართო ასპარეზი, ჩვენი ბუნებრივი გასასვლელი; ესაა თვალუწვდენელი, შორეული აღმოსავლეთი.

---

*) „ნაინთინ ცენტური" მარტი, 905.

200 ათას მანეთზე მეტი ღირებულების მიწა აქვთ. თუ მემამულე და მთავრობა ფასში ვერ მორიგდნენ, მიწა სამედიატორო სასამართლომ უნდა დააფასოს. ყოველ მემამულეს ნება აქვს მხოლოდ 200,000 მანეთამდე ღირებული მიწა იქონიოს. ეს რეფორმა პირველი ნაბიჯი იქნება მიწის ნაციონალიზაციისა.

ანარქისტების პროტესტი. ამას წინად ბარცელონაში მოსეირნე ხალხს ვიღამაც ყუმბარა ესროლა და აუარებელი ხალხი დახოცა და დაასახიჩრა. ამან მცხოვრებნი მეტად გააბრაზა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ანარქისტის საქმე იყო, მაგრამ შესცდნენ. ანარქისტებმა მიტინგი მოახდინეს და პროტესტი განაცხადეს ამ ამბის გამო. ანარქისტები საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ყუმბარა პროვაკატორმა ისროლა და არა ანარქისტმაო.

მემკვიდრეობის გადასახადი საფრანგეთში. საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში მემკვიდრეობაზე გაწერილ შემოსავლისა. ეს ანგარიში მშვენიერი საზომია საფრანგეთის საზოგადო სიმდიდრისა და მესამე რესპუბლიკის ქონებრივ განვითარებისა. 1904 წელს საფრანგეთში 378,878 კაცს დაუტოვებია ისეთი მემკვიდრეობა, რომელზედაც მთავრობას გადასახადი უნდა გაეწერა. თითო ამ მემკვიდრეობის ფასი 250,000 ფრანკს არ აღემატებოდა. მისი საერთო ჯამი უდრიდა 2700 მილიონ ფრანკს. საინტერესოა აგრეთვე დიდი მემკვიდრეობის ანგარიშიც. 1904 წელს გარდაცვლილა 311 კაცი, რომელთაც ცალცალკე 1-დან 2 მილიონ ფრანკამდე დაუტოვებიათ. 123 კაცს დაუტოვებია 2-დან 5 მილიონამდის; 33 კაცს—5-დან 10 მილიონამდის და სამსაც—50 მილიონზე მეტი. ამ სამ კაცს საერთოდ დარჩენია 240,457,000 ფრანკი. ერთი მათგანი იყო გაზეთ „პტი ჟურნალ“-ის გამომცემელი მარინონი, მეორე—ბარონი როტშილდი და მესამეც—ესპანიის ექს-კოროლევა იზაბელლა. საერთო ფასი იმ მემკვიდრეობასა, რომელსაც გადასახადი გააწერეს, უდრიდა 5200 მილიონ ფრანკს.

რეფორმები რუსეთში

სოლსკის პროექტით მინისტრთა კაბინეტის მაგიერ უნდა დაარსდეს **მინისტრთა საბჭო,** რომელიც ცოტათი ემგვანება დასავლეთის ევროპის მინისტრთა კაბინეტებს (რ. ვ.).

◆ სოლსკის პროექტით კრებებზე ჩადენილი **„დანაშაული“ უნდა გაარჩიონ** მომრიგებელმა მოსამართლემ და სოლქო სასამართლოს სამაზრო წევრებმა (რ. ვ.).

◆ საუნივერსიტეტო **ავტონომია არ მიენიჭება** ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტს პეტერბურგში, ბეზბოროდკოსას ნეჟინში და ლაზარევისას მოსკოვში (რ.).

◆ გენ. **პალიცინმა შეადგინა პროექტი** საშუალო სამხედრო სასწავლებლების რეორგანიზაციისა (რ.).

◆ ინჟენერთა ბიურომ გადასწყვიტა შეგნებულ მუშებს, ტეხნიკოსებსა და სხვებსაც ფულით დახმარება აღმოუჩინოს და სოფლებში გაგზავნოს **საარჩევნო აგიტაციის მოსახდენად** (ს. ო.).

◆ ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი ვილიამ სტედი მოსკოვში **ლექციას წაიკითხავს** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ლექციას დაესწრებიან რუსეთის ცნობილი პუბლიცისტები და საერობო და საქალაქო მოღვაწეები (რ.).

◆ გენ. პავლოვმა **შეადგინა პროექტი** სწრაფ-სამხედრო სასამართლოების შემოღებისა იმ ადგილებში, სადაც ომის დროის წესებია შემოღებული. ეს პროექტი სამხედრო სამინისტრომაც მოიწონა და კავკასიის უმაღლესმა მთავრობამაც. (რუსი.).

◆ იმიერ-კასპიის გენერალ-გუბერნატორმა სუხოტინმა უმაღლეს მთავრობას წარუდგინა პროექტი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ **ყირგიზები ველური ხალხია, პოლიტიკურ ცხოვრებისა არა გაეგებათ-რა და სახელმწიფო სათათბიროში ნუ შეუშვებთო.** საბედნიეროდ, პეტერბურგის ბიუროკრატია გენ. სუხოტინზე სამართლიანი აღმოჩნდა, პროექტი უარჰყო და დაადგინა: აკმოლინის ოლქს მიეცეს ოთხი წარმომადგენელი: 2 რუსების მხრივ, ერთი ყირგიზებისა და ერთიც მთელ ოლქის ქალაქებთან ერთად. სემიპალატინის ოლქიც 4 წარმომადგენელს გაგზავნის: 2 ყირგიზები გაგზავნიან, 1 რუსები და ერთსაც მთელი ოლქი (რ. ვ.).

◆ ოდესაში სულ 520,000 მცხოვრებია. აქედან მხოლოდ 7000 კაცს ეძლევა საარჩევნო ცენზი სათათბიროში. ამ 7000 კაციდან მხოლოდ 115-მა **განაცხადა თანხმობა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.** ასევე იქცევიან ამომრჩეველნი კიევში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში და სხვა ქალაქებშიაც (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი, 15 სექტემბერი. გაიხსნა კრება საგუბერნიო საერობო სათათბიროსი. თავმჯდომარეობს გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი თ. დ. ის. წერეთელი, მდივნად არის იონა მეუნარგია. წაკითხულ იქმნა ოქმები სამაზრო სათათბიროებისა.

ქუთაისი, 16 სექტემბერი. დღეს, დილის 10 საათზე აზოვის ბანკის წინ ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ეტლში მჯდომ ხაზ. ნადარს, რომელსაც ხაზინაში რკინის ზანდუკით მიჰქონდა 25 ათასი მანათი. ბოროტმოქმედთ ეტლიდან გადმოყარეს სამი მსახური და ეტლი გააქანეს ბალახანის ქუჩისკენ, რომლის ბოლოშიაც ეტლი გატყდა. ავაზაკებმა მიატოვეს ეტლი და რკინის ზანდუკი და თავს უშველეს. ფული უკლებლივ იპოვნეს.

ახალი ამბავი

◆ გაზეთ „კავკაზში“ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ უნცროსი ცენზორი ადგილობრივ ენებისა, გუბერნსკი სეკრეტარი, **მირიანაშვილი,** თავის თხოვნისამებრ, **სრულიად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.**

◆ როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, სათანადო მთავრობამ ნება დართო **გაიმართოს ხოლმე სახალხო კითხვები ადგილობრივ ენებზედაც.** კითხვების გამგე საზოგადოება უკვე შეუდგა პროგრამის შემუშავებას, მაგრამ ლექტორები ნაკლებად ჰყავს, ამიტომ სთხოვს ადგილობრივ ინტელიგენციას, არ დაიზარონ და თავისი დახმარებით ხელი შეუწყონ ამ მეტად სასარგებლო საქმეს.

◆ კავკასიის ნამესტნიკს თანაშემწემ შეიწყნარა შუამდგომლობა თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტისა, წესდების მეოთხე მუხლის შეცვლის შესახებ, შემდეგნაირად: „ნამდვილი წევრობა ეკუთვნის ყველას, ვისაც გამგე კომიტეტი აირჩევს და ყოველ წლივ შეიტანს არა ნაკლებ 3 მანეთისა; გარდა ამისა წევრად ითვლება ყველა შთამომავლობით აზნაური იმ დრომდე, ვიდრე თავად-აზნაურობა სწირავს ფულს საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. გამგეობამ **ნიკოლოოზ ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად** თავ. ნ. ერისთავისაგან მიიღო 200 მანეთის შემოწირულება.

◆ რუსეთის გაზეთების სიტყვით, **კავკასიაში იგზავნებიან: ყველა პოლკები ოცდა-მეერთე კორპუსისა,** რომელნიც ამ ჟამად კიევსა და მის გუბერნიებში დგანან, 303 საარტილერიო ბრიგადა და ერთი პოლკი ურალის კაზაკთა. ეს ჯარები წინად შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაეგზავნათ.

◆ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგემ აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ რადგანაც **კავკასიას ხოლერის მხრით შიში აღარ მოელის,** ამ საქმის გამო მოწვეული ექიმები სამსახურიდან განთავისუფლებულ იქმნენო.

◆ **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება გადაიდო** განუსაზღვრელ დროისთვის. ეს კრება 17 სექტემბერს უნდა მომხდარიყო.

◆ ქალაქის საბჭოში 29 აგვისტოს მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო **ხმოსნობას თავი დაანება** თავ. ვლ. ს. მიქელაძემაც. სამსახურს სულ 63 ხმოსანი დაეთხოვა.

◆ კვირას, 18 სექტემბერს, **აკურთხებენ ტფილისში დაარსებულ დრამატიულ კურსებს.** პარაკლისის შემდეგ ამ კურსების მასწავლებელი ნ. ს. დერჟავინი წაიკითხავს ლექციას „თეატრისა და დრამატიულ სკოლის მნიშვნელობა“. ამ კურსებზე, სხვათა შორის, მასწავლებლად მიწვეულნი არიან არტისტები კ. დ. ყიფიანი, რატიღი, აბელიანი და სხვა.

◆ **რუსული დრამატიული დასი წარმოდგენების გამართვას დაიწყებს** 29 ენკენისთვიდან, არტისტიულ საზოგადოების თეატრში.

◆ „ნოვ. ობოზ“ სიტყვით, **სოფ. ნოსტეში** (გორის მაზრა) ამ **დღეებში შემდეგი ამბავი მომხდარა:** ნოსტის მცხოვრებლებს სტრაჟნიკებთან შეტაკება მოსვლიათ, რომლის დროსაც მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი. დანარჩენი სტრაჟნიკები ახალქალაქს წასულან, კაზაკების მოსაყვანად. როცა ისევ სოფელში დაბრუნებულან, ნოსტეში აღარავინ დახვედრიათ. მთელი სოფელი სადღაც გახიზნულა. ამბობენ, ტყეში იმალებიანო. გახიზნულებს მდევარი გამოუყენეს.

◆ „ტფილ. ფურც.“-ს გაუგონია, რომ ტფილისის დრ. გენერალ-გუბერნატორის დროებით აღმასრულებელს გენერალ რილსკის კავკასიის ნამესტნიკისათვის უთხოვნია **ამ თანამდებობიდან გამანთავისუფლეთო.** ეს ამბავი ჩვენც გავიგეთ, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, გუშინ ვერ დაიბეჭდა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო მართველებისაგან **შემოვიდა მოხსენებანი** იმის შესახებ, რომ სამრევლო სკოლების დაარსება უკვე დაიწყეს.

◆ კავკასიის პოლიციის გამგემ, გენერალმა **შირინკინმა აცნობა** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ტრეპოვს, რომ გუშინდლიდან ბაქოში სრული მშვიდობიანობა დამყარებულა. ქალაქის ყველა მაღაზიები გაღებულა. თათრები და სომხები ქუჩებში უვნებლად დაიარებიან.

◆ ტფილისის **ყრუ-მუნჯთა სკოლაში სწავლა დაიწყება 19 სექტემბერს** (ვერა, სახლი კურისისა, თაიროვის ქუჩაზე) უადგილობისა გამო ახალ მოწაფეთ არ მიიღებენ.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის სპედაგოგიო **საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის** წინაშე, ამ სასწავლებელში სწავლის ფულის მომატების შესახებ. თითო მოწაფეს 60 მანათის მაგიერ უნდა გადახდეს 70 მ. წელიწადში.

◆ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა **ხმოსანთა ხელმოწერილი დადგენილება** სამსახურიდან გადადგომის შესახებ. სულ ხელი უწერია 63 ხმოსანს. ტფილისში არ ყოფნის გამო ხელი არ მოუწერიათ ხმოსნებს ნ. მ. ალიხანოვს, ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, ა. ა. ბებუთოვს, ა. ს. ბეგზადოვს, ს. ი. ვაწაძეს, ნ. ხ. კალანტაროვს, არ. ნ. მილოვს, ა. თ. ფრიდონოვს, ა. დ. სურენიანცს, ი. თ. ტიგრანოვს. ქალაქში არიან და ხელი კი არა აქვთ მოწერილი შემდეგ ხმოსნებს, ვ. გ. კანდურალოვს, პ. ი. ყიფიანს, გრ. არ. ქოჩორიანცს, ა. მ. ლენჩევსკის, ი. ე. პსაროვს, ბ. ს. ესაძეს და რ. ბ. ახუნდოვს.

◆ ნამესტნიკის განკარგულებისამებრ კავკასიის გიმნაზიაში მიიღეს 40 მოწაფე, ბაქოდან იქ გადახვეწილ სომხების შვილები.

◆ ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორად **ინიშნება გენერალ ლეიტენანტი ჟილიაი,** საარტილერიო კორპუსის უფროსი.

◆ ბაქოს გიმნაზიიდან ტფილისის გიმნაზიებში 70 მოწაფე მიიღეს.

◆ კავკასიის სამთო გამგეობის უფროსი გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობს, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. „ჩათმაში“ საერობო დარაჯები ჩააყენოს ინგლისის საზოგადოების ნავთის სამრეწველოების უზრუნველ-საყოფად.

◆ 25 ოქტომბრისათვის დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა საქართველოს სამხედრო გზის იჯარით გასაცემად.

◆ სიღნაღის გზაზე ყაჩაღები თავს დასხმიან დილიჟანს და მგზავრები გაუძარცვავთ.

პროექტი

საერობო დებულების უმთავრეს მუხლთა, შემუშავებული სიღნაღის სამაზრო სათათბირო კრების მიერ.

I

საერობო დაწესებულებათა ტერიტორია.

1. საერობო დაწესებულებათა ტერიტორიას შეადგენს: 5 დაბალი საერობო ერთეული (სოფლის საზოგადოება, ქალაქი), მაზრა და გუბერნია.

2. სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს სრული უფლება ექნება შეუერთდეს ხოლმე დროებით ერთს ანუ რამდენსამე სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს, რაიმე განსაზღვრულ საერთო საქმის განსახორციელებლად, საერობო დებულების ფარგლებში აგრეთვე მაზრასა და გუბერნიასაც უფლება ექნებათ შეუერთდენ ხოლმე ერთსა, ანუ რამდენსამე მომიჯნავე მაზრასა თუ გუბერნიას, დასახელებულ მიზნის განსახორციელებლად, დასახელებულსავე პირობებში.

3. ვიდრე კავკასია მოიპოვებდეს სრულ ავტონომიას, იარსებებს ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიათა მუდმივი კავშირი, რომლის ორგანო იქნება ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი.

შენიშვნა: ა) საოლქო სეიმს ექნება ზოგიერთი საკანონმდებლო ფუნქციები სწავლა განათლების საქმეში, სასამართლოს მართლ-მსაჯულების მოწყობის საქმეში. საოლქო სეიმის კომპეტენციაშივე შედის ამიერ-კავკასიის საერობო—საადმინისტრაციო ტერიტორიის საზღვრის გამიჯვნა. ბ) კავკასიის ადგილობრივი, უმაღლესი მთავრობის ცირკულარები, ინსტრუქციები და განკარგულებანი რომ სისრულეში მოდიოდეს, მათ უნდა ეძლეოდეს კავკასიის საოლქო სეიმის გამგეობის სანქცია.

II

თვითმართველობის ორგანოები და მათი ორგანიზაცია.

4. ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებია: დაბალ საერობო ერთეულის, მაზრის და გუბერნიის საბჭოები, მამასახლისთა*) კრებული, სამაზრო და საგუბერნიო გამგეობანი.

5. დაბალ ერთეულის საბჭოს შეადგენენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეული ხმოსნები. ესენი თავიანთ შორის ირჩევენ მოურავს, რომელიც თავმჯდომარეობს საბჭოს კრებებს.

შენიშვნა: ხმოსნების რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობით, ისე-კი რომ მათი რიცხვი არ იყოს 20-ზე ნაკლები.

6. დაბალ ერთეულის აღმასრულებელი ორგანოა საბჭოს მიერ არჩეული მამასახლისთა კრებული, რომელთა შორის განაწილებულია გამგეობის სხვადასხვა დარგი: ფინანსები, სკოლების საქმე, სამიმოსვლო გზები, წყალი და სხვ. მამასახლისთა კრებულს თავმჯდომარეობს მოურავი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა მოურავი, საპატიო მიზეზის გამო დაბრკოლებული იქნება აასრულოს თავისი მოვალეობა, მის თანამდებობას ასრულებს ნამსახურობით უფროსი მამასახლისი. უკეთუ ნამსახურობის მხრივ თანასწორ პირობებშია ორი ან რამდენიმე მამასახლისი, უპირატესობა ეძლევა იმას, ვისაც მეტი ხმა ექნება მიღებული არჩევნებზე.—საბჭო-კი თავისთვის ირჩევს დროებით თავმჯდომარეს.

7. სამაზრო და საგუბერნიო საბჭოს შეადგენენ მაზრის და გუბერნიის მცხოვრებთაგან არჩეული ხმოსნები. ესენი თავიანთ შორის ირჩევენ საბჭოთა თავმჯდომარეებს.

შენიშვნა: ხმოსანთა რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობით, იმ პირობით-კი, რომ მათი რიცხვი იყოს არა ნაკლებ 50-სა მაზრაში და არა ნაკლებ 100-სა გუბერნიაში.

8. სამაზრო და საგუბერნიო საბჭოთა აღმასრულებელი ორგანოა სამაზრო და საგუბერნიო გამგეობანი, რომელნიც თვითონვე ირჩევენ თავმჯდომარეს თავის წევრთა შორის.

შენიშვნა: ა) თვითმართველობის ორგანოებს სრული უფლება აქვთ, საჭიროების მიხედვით, შეადგინონ ხოლმე სპეციალისტებისაგან განსაკუთრებული კომისიები სხვადასხვა კითხვის გამოსარკვევად (სატექნიკო, სასკოლო, სამედიცინო, სასტატისტიკო) და სხვ. ბ) კომისიაში მონაწილეობას იღებენ გამგეობათა წევრნი და ხმოსნები, არჩეულნი თავ-თავის საბჭოთა და გამგეობათა-მიერ; წარმომადგენელნი ერობის სამსახურში მყოფ სპეციალისტებისა (ტეხნიკოსები, მასწავლებელნი, აგრონომები და სხვ.), არჩეულნი თავის ამხანაგთაგან, აგრეთვე გარეშე მცოდნე პირნი, მოწვეულნი თვით კომისიის მიერ.

---

*) მამასახლისი როგორც ტერმინი დარჩა, მხოლოდ აღნიშნავს ხმოსანს.

იქ ჩინეთი ხომ სამუდამოდ მკვდარია და ერთი მუჭა „პაკაკები“ კიდევ სახეში არაა მისაღები. იმათ შეიძლება, როგორც ტაკი-მასხარას, ჩვენი გამარჯვების ბუკ-ნაღარა ვაკვრევინოთ. და, აი, როცა ამ ქვეყნებში მტკიცედ მოვიკიდებთ ფეხს, მაშინ ყველა მხრივ თავისუფალი გზები გვექნება, მაშინ, ჩავიკეცავთ ქუდებს და შევძახებთ „ბაშკიმ“!

როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში გავარდა პირველი ზარბაზანი, რუსეთის ბურჟუაზია ერთი კი შეკრთა, გაოცდა, მერე გარინდდა, გატრუნდა, მას გარდმოევლინა ჰიპნოტიური ძილი, და სიზმრად ჰხედავდა ერთი მეორეზე წარმტაც სურათებს: რუსეთი ერთის დაკვრით თავ-ზარს სცემს მტრებს, აცამტვერებს იმათ რაზმებს და შიგ ტოკიოში სწერს კაპიტულიაციის პირობებს... რუსეთი იპყრობს შორეულ-აღმოსავლეთს, რუსეთის ბურჟუაზიის ძლევა-მოსილი ეტლი ტრიუმფალურის მარშით მიექანება წინ, გადადის აზიის საზღვრებსაც, შედის დიდს, წყნარ ოკეანეში, მიდის წინ, შორს, შორს და, ვინ იცის, იქნება იპყრობს მთელს სამყ... „მთელ სამყაროს, — სწორედ ასე, სწორედ ასე“! ჩასძახოდა მას იდუმალი ხმა. რუსეთი ხელთ იგდებს მთელ სამყაროს ბრძანებლობა-ბატონობას. ან კი ვინ დაუდგება წინ? ევროპა ხომ უკვე გადასულია მოხუცებულობის ჰასაკში, რასაც ნათლად მოწმობს თუნდა ის გარემოება, რომ ფრანცუზები ბავშვებს ველარ აკეთებენ, და თუ განათლებულ კაცობრიობის მესვეური დაძაბუნდა, დაქვეითდა, რასაკვირველია, ყველა დანარჩენი, ძველ კულტურის სახელმწიფონიც, იმისსავე გზას გაჰყვებიან.

ასე ოცნებობდა ბურჟუაზია და ვერ ამჩნევდა, სით იხრებოდა ისტორიულ ნემეზიდას შვილდ-ისარი. ბურჟუაზიის ერთი, დიდი ნაწილი, მაინც შიშით და ძრწოლით უყურებდა შინ სახელმწიფო საქმეების წარმოუდგენელ არევ-დარევას, საშინელ მოქალაქობრივ ომის ნიშნებს, გარედ — თოფ-ზარბაზნების საზარელ გრიალს; შიშითა და ძრწოლით ელოდა, ვინ და როგორ გახსნიდა ისტორიის საოცრად დახლართულ კვანძს. დიდი უმრავლესობა კი დარწმუნებული იყო, კრიზისი იქნებოდა დროებითი, წარმავალი; რუსეთის ძლიერ ბუნებიანი, ნორჩი ბუმბერაზი ადვილად გადიტანდა ამ კრიზისს და, რაკი ერთი გაიშლებოდა რუსეთის ბუმბერაზის ნორჩი ძალები, მის გოლიათობას ვეღარავინ გაუსწორებდა თვალს. ერთი სიტყვით, კრიზისი არ იყო საბოლოო საშიში; ის მალე გადიელიდა და რუსეთს გაეღებოდა ოქროს საუკუნის კარები. ბურჟუაზია გულხელ დაკრეფილი იდგა და მოუსვენრად ელოდა კარის გაღებას.

ზემო ნათქვამი შეეხება უმთავრესად მსხვილ და რამოდენადმე საშუალო ბურჟუაზიას. სხვაგვარი იყო სულიერი განწყობილება წვრილ ბურჟუაზიის, ხელოსნების, — ოდესღაც დამოუკიდებელ მწარმოებელთა; ესენი, რაც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, რომ მომავალი მათ არას მოუტანდა, გარდა მეტის სივიწროვისა, მეტის სიღარიბისა, და გულდაწყვეტილნი იგონებდნენ იმ დროს, როცა მათაც ჰქონდათ უზრუნველი, უდარდელი ცხოვრება. არ იცოდნენ მწვავე ფიქრი ხვალინდელ დღეზე და როცა წვრილების გამოხსოვება და ზოგჯერ გამსხვილებაც თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იგინი წარსულს მისტიროდნენ, წარსულში ეძებდნენ იდეალებს. წარსულში იყო დამარხული მათი „ოქროს საუკუნე“; ამიტომაც იგინი წარმოადგენდნენ საუკეთესო მასალას, ულეველ სათადარიგო ჯარს ყოველგვარ რეაქციონურ პარტიებისათვის.

ეს ყველაფერი იყო გუშინ. დღეს სურათი ერთიანად შეიცვალა. ერთის მხრივ, იმის მიხედვით, როგორც მშრომელი ხალხი თავს აღწევდა სასოწარმკვეთ სადათას ძილს, თავს ანებებდა პოლიტიკურ უმოძრაობა-უმოქმედობას, თავის სტიქიურ ბობოქრობა-მღელვარებაში შეჰქონდა კლასობრივი ცნობიერება, დაქსაქსულ პირებს და ჯგუფებს აძლევდა წეს-რიგსა და ორგანიზაციას და თანდათანობით და მედგრადაც ეძლეოდა საისტორიო ბრძოლას; მეორეს მხრივ, იმის მიხედვით, როგორც ვითარდებოდა შორეულ აღმოსავლეთის ტრაგედია, თოფ-ზარბაზნის ქუხილი სძრავდა ქვეყნიერობას და საზარელი ცეცხლი და მახვილი ჰნთქავდა რუსეთის აუარებელ მილიონებსა და ხალხს, ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია კი დაჟინებით გაიძახოდა: რუსეთი უნდა წაიშალოს დიდ-სახელმწიფოთა პოლიტიკურ კარტიდან, რუსეთთან მეგობრობა, ამხანაგობა სამარცხვინოა და სათაკილო, რუსეთში დაბანდებული კაპიტალი, რუსეთის სესხი დამწვარია, ყინულზე დაწერილი თამასუქია და სხვ.; იმის მიხედვით, როგორც ვითარდებოდა ყველა ეს ფაქტები და ამბები, რუსეთის და ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია იძლეოდა სასწაულ-მოქმედებათა სანახაობას: დაერდომილი კუნთებსა შლიდა, ფეხზე დგებოდა, ყურთა სმენა უბრუნდებოდა, ბრმას მხედველობა ეძლეოდა, მიცვალებული მკვდრეთით სდგებოდა, ბურჟუაზია განიცდიდიდა დიდ მნიშვნელოვან პსიხოლოგიურ რევოლუციას. ბურჟუაზიამ, რომლის ნაციონალურ დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდათ საშუალო საუკუნოების ქერქში ცხოვრების ახალ შინაარსის მოთავსება, დასავლეთის თანამოძმის აბჯარი აიწყო და სამოქალაქო საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვიდა, თავისუფლების დროშა მოსძებნა.

რკინის ხელი, ურიცხვ მართლმორწმუნე ბაგეთაგან ნაკურთხი რკინის მათრახი სამარცხვინო მონობის ემბლემებად იქმნა გამოცხადებული; პატრიარქული ურთიერთობანი, „მამა-შვილური“ ზრუნვა-ქომაგობა-პატრონობა ყველასი ყველგან და ყველაფერში სულის შემხუთავ ატმოსფეროდ იქმნა აღიარებული. თუ წინად პოლიტიკაზე ლაპარაკი სახელმწიფოსადმი ღალატად იყო დასახული, დღეს, პირიქით, დუმილი, უმოქმედობა ნამდვილი ღალატია სამშობლოსიო. ბურჟუაზია დღეს ლაპარაკობს, რომ მაღალ ფრაზებს და სამოქმედოდ წინ მიიწევს. იგი ლაპარაკობს ხალხის, ქვეყნის ინტერესებზე, ადამიანის ბუნებრივ უფლებებზე, რაც „ისტორიულ შეცდომებით“ წართმეოდა მას, და ცნობიერად თუ შეუგნებლად იცავს თვისს კლასობრივ ინტერესებს, ბეჯითად ესწრაფვის ხელთ-იგდოს სახელმწიფოს სადავე და ქვეყანა მოაწყოს მსგავსად და ხატებად თვისდა.

საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია გადაჭრით შედგა ოპოზიციონურ გზაზე. იგი თამამად აცხადებს, რომ მთავრობას საფინანსო პოლიტიკამ რუსეთი სრულ კოტრობამდე მიიყვანა შინ და გარედ. ქვეყანას რომ მშვიდობით თავიდან ასცილდეს საშინელი კატასტროფა და სასიცოცხლო პირი მიეცეს, საჭიროა ინტენსიურად ამოძრავდეს ყველა საზოგადოებრივი ძალები, საჭიროა ბორკილები აეხსნას კერძო ინიციატივას, თაოსნობას, საზოგადოებრივ თვითმოქმედებას, საჭიროა ფართო ასპარეზი მიეცეს სამშობლო ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა-განვითარებას. ჩვენ შორეულ აღმოსავლეთში მივიწევდით,—ამბობს საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია,—და გვავიწყდებოდა, რომ ჩვენი ხელით ჩვენვე ჩავიკეტეთ ფართო შინაური ბაზარი; ჩვენ გაუტეხელ (ДѢВСТВЕННЫЙ) ქვეყნებისკენ მივიწევდით და გვავიწყდებოდა, რომ ჯერ ევროპისა და ამერიკის ბაზარზე უნდა მოგვეპოვებინა მოქალაქობრივი უფლება. ჩვენ დაუსრულებლივ გარეთ ვეზიდებოდით სულადს, ნაცვლად ფქვილისა,—სელს, ბამბეულს, მატყლეულობას, აბრეშუმს, ნაცვლად ქსოვილებისა, ერთის სიტყვით გარედ ვეზიდებოდით დაუმუშავებელ მასალას, ნაცვლად მანუფაქტურულ საქონლისა; ან კი როგორ გამოვაჩენდით საზღვარ გარედ ჩვენებურ მანუფაქტურულ საქონელს, როცა იგი ფასით მეტია და ღირებით დაბალი, შეუდარებლად დაბალი, საზღვარ გარეთისაზე; როგორ შევეჭიშპებოდით უცხოეთს, როცა ჩვენებური მუშის შრომა ნაყოფიერებით გაცილებით დაბლა სდგას საზღვარ-გარეთელ მუშის შრომაზე. რა უნდა იყოს ჩვენებური მუშის შრომა, როცა იგი დაბეჩავებულია, ფიზიკურად ღონე გამოცლილი, გონებრივად აჯამი და უმეცარი. ან კი ვინ იფიქრებდა მის განათლებაზე, ტეხნიკურ ცოდნაზე, როცა ქვეყნის მილიონები, რაც კი მორჩებოდა ჩინოვნიკების უბე-ჯიბეს, იფლანგებოდა უადგილო სამხედრო პოსტებზე და უსარგებლო სტრატეგიულ რკინის გზებზე? მანუფაქტურული საქონელი? რომელ მანუფაქტურისა და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებაზე შეიძლება ილაპარაკოთ იმ ქვეყანაში, სადაც რკინეულობა, ფოლადი, მანქანეულობა ყოველგვარი 200% და 300%-ით მეტი ღირს, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში... კმარა, კმარა, კმარა ქვეყნის ამოდენა ძალ-ღონისა და შრომის უნაყოფოდ და უაზროდ ფლანგვა! კმარა, ამდენა ხნის სიბნელეში ხელის ფათური, უგუნურად ერთმანეთის თავპირის მტვრევა! სხვისი ჩვენებით, სხვისი ბრძანებით აზროვნობა, მგრძნობელობა, მოქმედება, სხვისი ყურ-მოჭრილი მონობა და ბალიაღობა! კმარა ამოდენა ხნით ადამიანურ ღირსება-პატიოსნების ფეხ-ქვეშ გაქელვა, სიცოცხლის აბუჩად აგდება! აწ კი დადგა დრო, მოვთხოვოთ ანგარიში ძალ-მომრეობა-თვითნებობას! დროა, აღვადგინოთ ჩვენი ადამიანური ღირსება. დროა, დავიბრუნოთ ადამიანის ბუნებრივი, ხელ-შეუხებელი, წმინდა უფლებანი! დროა, ჩვენ თვითონ ვპატრონობდეთ და ვბატონობდეთ ჩვენი ქვეყნის საქმესა და ცხოვრებას; დროა, ხალხი თვითონვე განაგებდეს თავის სვე-ბედს; დროა, ჩვენც დიადი ხალხის სათანადო ადგილი დავიჭიროთ განათლებულ კაცობრიობის ოჯახში (იგულისხმე საერთაშორისო ბაზარზე!).

ერთის სიტყვით, საშუალო დ მსხვილი ბურჟუაზია გადაჭრით დ გარკვევით ითხოვს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას. ამ ბურჟუაზიის ერთი ნაწილი (ძალიან მცირედი) იქამდისაც კი მიდის, რომ ემხრობა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებას. არ ვიცით, რამდენად გულ-წრფელია ეს მომხრეობა, ხოლო ის კი ვიცით, რომ ამ შემთხვევაში ძალა აღმართსა ჰხნავს. ბურჟუაზიამ რომ ზურგი უჩვენოს დასახელებულ უფლებას, მას მოეცლება ის საზოგადოებრივი ძალები, რომელთა დაუხმარებლივ ყოვლად შეუძლებელია ქვეყანა ჩადგეს მშვიდობიან განვითარების კალაპოტში. ბურჟუაზიის დასახელებული ნაწილი ფიქრობს დემოკრატიული პრინციპის მომხრეობით თავიდან აიცილოს, მისთვის თავზარ-დამცემი, ქვეყნის ძალუმი რყევა, რევოლუციონური ქარტეხილი აუარებელი, სისხლის ღვრა. და აქ მასში მიუცილებლად ლაპარაკობს სადი პოლიტიკური მოსაზრება.

რაც შეეხება წვრილ ბურჟუაზიას, ეს უფრო წინ მიდის, უფრო შორს იხედება, მეტ გამბედაობას იჩენს თავის მოთხოვნილებებში. ის ერთიანად ემხრობა რადიკალურ, დემოკრატიულ ბაირაღს და თითო-ოროლა მისი ჯგუფები მიდიან თვით უკიდურეს დემოკრატიულ პარტიებამდე. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიას თავის პოლიტიკურ პროგრამაში შეაქვს ახალი, სპეციალური მუხლები შესახებ ეროვნულ საკითხისა, და ამ შემთხვევაში მას უერთდება დიდი ნაწილი საშუალო ბურჟუაზიისა. დიახ, ამ ჩვენ ბურჟუაზიას (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ყველა წოდების ბურჟუაზიას *), მათ შორის საგრძნობელ ნაწილს თავად-აზნაურობისას) რუსეთის ბურჟუაზიასთან შედარებით, თავისს პროგრამაში შეაქვს ახალი, სპეციალური მოთხოვნილებანი ეროვნული საკითხის შესახებ, მაგრამ!.. აქ სათქმელია დიდი მაგრამ...

ეროვნული საკითხი, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნიური, რასაკვირველია, აღმოცენებულია ცხოვრების ნივთიერ, მატერიალურ პირობები-

---

*) „ყველა წოდების ბურჟუაზია“ ეს ერთობ უხერხული და უკუღმართი თქმულებაა, მაგრამ რა გაეწყობა, როცა თვით ჩვენი ქვეყნის ცხოვრება უაღრესად უკუღმართია და ჩვენ ბურჟუაზიასაც ჯერ კიდევ არ გადაუძვრია წოდებრივი ქერქი.

9. კავკასიის საოლქო სეიმს შეადგენენ კავკასიის მიერ არჩეულნი დეპუტატები, რომელთა რიცხვი შესდგება იმ ანგარიშით, რომ მცხოვრებთა საერთო რიცხვის ყველა 20,000-ზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

შენიშვნა: ხმოსნები და დეპუტატები აირჩევიან 3 წლის ვადით.

10. საარჩევნო უფლება, როგორც აქტიური, ისე პასიური, ასარჩევად ხმოსნებისა და დეპუტატებისა, დაბალ საერობო ერთეულის, გუბერნიის საერობო დაწესებულებათა და საოლქო სეიმში ეკუთვნის ყველა მამულიშვილს, ასაკით არა ნაკლებ 20 წლისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ქონებისა და ეროვნებისა.

შენიშვნა: კავკასიის არა მკვიდრთაგან, საარჩევნო უფლება ეძლევათ: 1) დაბალ საერობო ერთეულის დაწესებულებათა არჩევნებზედ ყველა იმათ, ვისაც დასახელებულ ტერიტორიაზე უცხოვრიათ არა ნაკლებ 6 თვისა; 2) სამაზრო და საგუბერნიო არჩევნებზე—არა ნაკლებ 1 წლისა 3) საოლქო სეიმის არჩევნებზე—ვისაც კავკასიაში უცხოვრია არა ნაკლებ 2 წლისა.

11. საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან: მოქალაქობის მხრივ უუნარონი (მცირე-წლოვანნი, სულით ავადმყოფობისა გამო მზრუნველობის ქვეშ მყოფნი), ცენტრალურ მთავრობის აგენტები, სასამართლო პროკურატურის წევრნი, მილიციის და ჟანდარმერიის მოხელენი, სამღვდელო-სასულიერო პირნი, სისხლის სამართალში მიცემულნი და შერცხვენილნი (ვისაც უჭირავს საროსკიპო სახლი, ანუ ეწევა საროსკიპო მაჭანკლობა-შუამავლობასა.

12. არჩევნები არის პირდაპირი, ფარული კენჭისყრით.

13. ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოები თვითონ ნიშნავენ ყველა საადმინისტრაციო და საპოლიციო მოხელეებს, რომელნიც იმყოფებიან ამ ორგანოების სრულ მორჩილებასა და განკარგულების ქვეშ. მათ მიერ დანიშნულ მოხელეებს, ისე როგორც არჩეულ სხვადასხვა თანამდებობის პირთ, არ ესაჭიროებათ ცენტრალურ მთავრობის დამტკიცება.

14. ხმოსნები თუ დეპუტატები კრებებზე ხმარობენ იმ ენას, რომელზედაც მათ ლაპარაკი ეხერხებათ (ასეთი ენა ნორმალურ ადამიანისათვის, რასაკვირველია, არის სამშობლო ენა); ხოლო ნალაპარაკევი ითარგმნება უმრავლესობისთვის გასაგებ ენაზე.

15. თვითმართველობის ორგანოთა საოლქო სეიმის სხდომის ხანგრძლიობა (სესსიები) განისაზღვრება ამავე ორგანოთა დადგენილებებით.

III

ერობის მართვა-გამგეობის საქმეები.

16 საერობო დაწესებულებათა მართვა გამგეობას ექვემდებარება: 1) საერობო გადასახადების საქმე, ხარჯების გაწერა, აკრეფა და მოხმარება, 2) საკუთარ უძრავ-მოძრავ ქონების მოვლა-პატრონობა 3) სწავლა-განათლების საქმე; დაარსება ყველა ტიპისა და კატეგორიის სასწავლებლებისა, გამგეობა, როგორც ნივთიერის ისე თვით სწავლის საქმისა (მასწავლებლების მოწვევა,) ღარიბ მოწაფეთა შემოსვლა, მათთვისვე უფასო ანუ ძალიან მცირე ფასით სასადილოების გამართვა, სახალხო უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკა სამკითხველოების დაარსება; თეატრებისა კონცერტებისა და სხვა სახალხო გასართობების მოწყობა და ზედამხედველობა; 4, ყველა სამიმოსვლო საშუალებანი, გზატკეცილები, ხიდები, ბოგირები, ტრამვაები, ეტლები, სარაიონო რკინის გზები, სარაიონო ტელეფონი, ტელეგრაფი; 5) წყალი 6) განათება; 7) სადგომების ზედამხედველობა, მუშათათვის იაფ-ფასიან ბინების დაარსება; 8) ცეცხლის მქრობ საშუალებათა მოწყობა; 9) სახალხო მკურნალობა, ჰიგიენა; უფასო საავადმყოფოების დაარსება 10) ძუძუ-მწოვარ ბავშვების აღსაზრდელი სახლის დაარსება დღისით გარეთ მომუშავე დედებისთვის; 11) ღამის თავშესაფარი 12) შედგენა საზოგადო სარგებლობა-საჭიროებათა თანხისა (ეგრედწოდებული საქველმოქმედო თანხა), საიდგანაც დახმარება ეძლევა ყველა გაჭირვებული ქვრივ-ოხერსა და ობლებს, აგრეთვე საპატიო მიზანით დროებით უსაქმოდ დარჩენილ მუშებს; 13) გლახების, მოხუცების და საპყართა სამზრუნველო სახლის დაარსება; 14) საბეითალო საქმე; 15) მცხოვრებთ აგრონომიული დახმარება 16) მოწყობა წვრილის კრედიტის. 17) მელიორატიული კრედიტი; 18) საერობო დაზღვევა; 19) ზრუნვა ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებაზე 20) იურიდიული დახმარების მოწყობა; 21) მამულიშვილთა საცხოვრებელ ადგილების გამშვენიერება-გალამაზება; ესტეტიურ გრძნობის აღზრდა-განვითარება.

17. თვითმართველობის ორგანოებივე აწარმოებენ ეგრედ წოდებულ სამოქალაქო აქტებს: დაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა სიებს.

შენიშვნა: თვითმართველობის ყოველგვარ სამრეწველო თუ სამეურნეო წარმოებაში უნდა არსებობდეს საუკეთესო და სამაგალითო შრომის პირობები; უნდა არსებობდეს სამუშაო დღის მაქსიმუმი და სამუშაო ხელფასის მინიმუმი; თვითმართველობა უნდა ცდილობდეს საკუთრივ თვითონ აწარმოებდეს თავის სამრეწველო, თუ სამეურნეო დაწესებულებას და თანდათანობით სრულიად მოსპოს საქმის იჯარით გაცემა; იმ შემთხვევაში, როცა საქმე იჯარით იცემა, ხელშეკრულებაში სავალდებულო უნდა იყოს განსაკუთრებული მუხლი შრომის პირობების გასამსაზღვრავი, უნდა დასახელებულ იქმნას სამუშაო დღისა და ხელფასის მაქსიმუმი და მინიმუმი; ამ ხელშეკრულების დაწერაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მუშათა წარმომადგენლები (მუშათა სინდიკატები, ამხანაგობა—კავშირები).

IV

ბიუჯეტი.

18. საერობო შემოსავალ-გასავალის ანგარიშს ადგენენ მამასახლისთა საკრებულო, სამაზრო და საგუბერნიო გამგეობანი და ამტკიცებენ სათანადო საბჭოები.

19. საერობო დაწესებულებათა შემოსავალია: ა) საკუთარ უძრავ-მოძრავი ქონება—წარმოებიდან შემოსული ფული ბ) გადასახადები საერობო დაწესებულებათა სარგებლობა—სამსახურისათვის; გ) გადასახადები საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო მამულებიდან და კერძო ვაჭრობა-მრეწველობიდან; დ) შემოსავლის კვალობაზე გაწერილი პროგრესიული გადასახადები (600 მან. ნაკლები შემოსავალი თავისუფალია გადასახადებისაგან); ე) სახელმწიფო გადასახადების აკრებაში განსაზღვრული, მინიმალური პროცენტი, რომელსაც განსაზღვრავს საოლქო სეიმი ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებით, კერძო პირთა თუ საზოგადოებათა დახმარება.

შენიშვნა: გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველ გვარი ბეგარა (ნატურალური გადასახადები) და საერობო ბაჟები შემოტანილ საქონელზე.

20. სახელმწიფო და სამონასტრო მამულები (ბინები, მადნები, ტყეები) გადადის კავკასიის საოლქო სეიმის სრულს გამგეობაში. მასსავე გამგეობაშია თავისუფალ ადგილებს დასახლება.

V

თვითმართველობის მატერიალური კომპეტენცია, ანუ მართვა-გამგეობის უფლებისთვის საზღვრები.

21. ადგილობრივი თვითმართველობა უძღვება ყველა ადგილობრივ საჭიროება-მოთხოვნილებას და აწარმოებს თავის მართვა-გამგეობის საქმეებს ცენტრალურ მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებლად. კავკასიის ადგილობრივი, უმაღლესი მთავრობა ზედამხედველია თვითმართველობის, იგი მეთვალყურობს, რომ თვითმართველობის ორგანოები თავის მოქმედებაში არ გადასცილდნენ სახელმწიფო, კონსტიტუციისაგან დადებულ, საზღვრებს. ამ ნიადაგზე წარმომდგარ სადაო კითხვების გადაწყვეტა ეკუთვნის ქვეყნის უმაღლესს სასამართლო დაწესებულებას, საკასაციო სასამართლო იქნება ეს, თუ სენატი.

VI

დასკვნა.

22. საერობო დაწესებულებათა განხორციელებამდე ხალხს უნდა მიეცეს ორი თვის ვადა საარჩევნო აგიტაციის გასაწევად; ამასთანავე დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს სრული თავისუფლება სიტყვისა, პრესსისა, ურილობებისა, ამხანაგობათა დაკავშირებისა, ბინისა და პიროვნების ხელშეუხებლობა, ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთა; ხოლო როგორც აუცილებელი გარანტია საერობო დაწესებულებათა შემოღებისა და მათ ნორმალურად მოქმედებისა, საჭიროა სახელმწიფო კონსტიტუციას ქვაკუთხედად დაედოს ხალხის სუვერენიტეტი, რომლის გამოსახატავად აუცილებელი პირობაა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, საიდუმლო კენჭის ყრით.

რუსეთი

ოდესის სამხედრო ოლქის უფროსად ნამყოფი, სამსახურიდან დათხოვნილი, გენერალი კახანოვი სენატის 1 დეპარტამენტში **უჩივის სამხედრო მინისტრს** გენ. რედიგერს, ჯერ ერთი სამსახურიდან ისე დამითხოვა, რომ მიზეზიც არ ამიხსნა და მეორე—სამხედრო წეს-რიგი არ შეასრულა ჩემი დათხოვნის დროსაო (ნ. ჟ.).

◆ „ბესარაბს. ჟიზნ“-ის მე-229 ნომერში ერთ წერილის ბოლოში მსხვილ ასოებით დაბეჭდილია: „დაიკარგა წერილის ნაწილი, ვინც იპოვის, ვთხოვთ რედაქციაში მოიტანოს, რისთვისაც შესაფერ საჩუქარს მიიღებს“ (ს. ო.).

◆ ამ ჟამად სამხედრო სამინისტრო გაცხარებით მუშაობს და **ჯარის** ახალ განაწილების გეგმას ადგენს. ამ გეგმით შუა რუსეთიდან **რამდენიმე კორპუსი ფინლიანდიაში და კავკასიაში უნდა გადაიყვანონ** (რ. ვ.).

◆ სენატორად დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე გენ. მაიორი რიძევსკი სენატის პირველ **დეპარტამენტის წევრად იქნება.** ამ ჟამად ამ დეპარტამენტში 12 სენატორია, მათ შორის სამი პოლიციის დეპარტამენტის გამგედ იყო: რიძევსკი, ზვოლიანსკი და კოვალევსკი (ს. ო).

◆ როგორც ვიცით, კანონით სენატორობა მიეცემა მხოლოდ იმას, ვისაც 1—3 კლასის ხარისხი აქვს. თუ ამაზე დაბალ ხარისხის მქონე მოხელეს სენატორობას აძლევდნენ, ჯერ ხარისხს მოუმატებდნენ ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ ნიშნავდნენ სენატორად. ამ დღეებში ერთი გენერალ-მაიორი დანიშნეს სენატორად. საინტერესოა, მოვიგონოთ ერთი ამბავი, რომელიც სენატის ობერ-პროკურორის პოლოვცევის დროს მოხდა. მაშინაც მთავრობამ ერთი გენერალ-მაიორი სენატორად დანიშნა, მაგრამ პოლოვცევმა ახალი სენატორი სენატში არ შეუშვა; გაჯავრებულმა მთავრობამ აიღო და გენ. მაიორს გენ. ლეიტენანტობა მისცა. ასეა თუ ისე, სენატორად დანიშნულ გენ. მაიორებს არავითარი შიში არ მოელით, რადგან გენ. მაიორობიდან გენ. ლეიტენანტობამდის ერთი ნაბიჯია (ს. ო.).

◆ „სინ ოტეჩესტვა“-ში მოთხრობილია **გულის ასამღვრევი ამბავი**: ვილნის გუბერნიაში, დაბა სლოვუტში ერთ მომრიგებელ შუამავალს თოფი დაეკარგა. შუამავალმა ვინმე ლემპერზე მიუთითა, ჩემი ქურდი ეგ არისო. ლემპერი დაიჭირეს, დააწვინეს, გულზე ფიცარი დაადეს და ჩაქუჩებით დაუწყეს ცემა, ჩქარა სთქვი, თოფი სად დამალეო. ლემპერმა ბევრი იფიცა, ქურდი მე არა ვარო, მაგრამ არ დაუჯერეს და რამდენიმე დღე აწამეს. ბოლოს მათრახებიც მოიტანეს. მათრახებს ლურსმები და ქინძისთავები ჰქონდა გაკეთებული. ლამპერი ამ მათრახებით მოჰკლეს და დამარხეს. მეორე თუ მესამე დღეს აღმოჩნდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეს თოფი თავის მეზობელთან დაჰვიწყებოდა. მკვლელები ეხლაც თავისუფლად დადიან თურმე (ს. ო.).

◆ **ახალი სესხი.** ფრანგული გაზეთები ერთხმად ირწმუნებიან, რუსეთი დიდი ფულის სესხებას აპირობს საფრანგეთშიო. ვიტტეს ამის შესახებ ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონია საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტ რუვიესთან და ლიონის ბანკის ადმინისტრატორთან (რ. ვ.).

◆ რუსეთიდან **ფინლიანდიაში ჯარს გზავნიან:** 9 სექტემბერს პეტერბურგიდან 4550 სალდათი გაგზავნეს: 3,500 გაიგზავნა სვეაბორგში, 1050 კი—ვიბორგში. წინა დღით ჰელსინგფორსში 300 სალდათი გაგზავნეს და 10 სექტემბერსაც წასულა დიდი ჯარი (ს. ო.).

◆ „ნაშა ჟიზნ“-ის სიტყვით იმ ჯარის გარდა, რომელიც უკვე წავიდა პეტერბურგიდან სვეაბორგში, მოსკოვიდანაც გზავნიან ჰელსინგფორსში ორ პოლკ ქვეითა ჯარსა და კაზაკთა რამდენსამე ასეულს (რ. ვ.).

◆ როგორც ვიცით, შავი ზღვის აჯანყებული მატროსები დასასჯელად შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს. როცა ამ მატროსების ერთი პარტია ხარკოვში მივიდა, მათთან 7 სტუდენტი მისულა. სტუდენტებს დარიგება დაუწყიათ, აჯანყდით, მთავრობას ნუ ემორჩილებითო და სხ., და ამასთან პროკლამაციები მიუციათ მათთვის. **მატროსებს სტუდენტები დაუჭერიათ და პოლიციისთვის გადაუციათ** (რ ვ).

◆ საზღვაო შტაბმა მატროსებს ვადის გათავებამდის **ცოლის შერთვა აუკრძალა** (რ. ს.).

◆ **გლეხთა კავშირი საათობით იზრდება.** ამ ჟამად კავშირი ირიცხება 100,000 მდე წევრი შუა რუსეთის 42 გუბერნიიდან (რ.).

◆ **პრესის თავისუფლება.** ელიზავეტრაგის „ნოვოსტი“ სწერს: „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო მეთაური ცენზურის შესახებ, ნაკვესები, პრესსა, რუსეთის ქრონიკა და კორესპონდენცია შემოკლებით იბეჭდება. ზოგი წერილი სულ არდაბეჭდილია (რ.).

წერილები რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ ამით მომცეთ საშუალება სიმართლის გამოაშკარავებისა.

ეს ორი თვეა, „ვიღაც“ ჩემმიერ უცნობი „ვაჟ-ბატონები“ თურმე ხმებს ავრცელებენ, რომ ვითომც მე გლეხებში ვქადაგობდე თავად-აზნაურობის ამოწყვეტას, წვასა და დაგვას და კაცის კვლას (ამასთან უნდა ვაგროვებდე გლეხებში ფულს და მევე უნდა ვჭამდე).

ჩემზე ასეთი საზიზღარი ხმები მხოლოდ ამ უკანასკნელად გამაგებიეს ჩემმა მეგობარ-ამხანაგებმა, რომლებიც განცვიფრებას მისცემიან. რასაკვირველია, მეც შევუდექი კვლევა-ძიებას, რომ მიმეგნო „მეჭორეთა ბანაკისთვის“ და შემდეგ კი საქვეყნოდ ცხადმეყო სიმართლე. მაგრამ ამაოდ: ვერ მივაგენ გესლიან „გველ-მელათა“ სოროს, მოხერხებულად მიიმალნენ და ამით საშუალება მესპობა, რომ „მათ“ სახელსა და გვართან ერთად ყოველივე სიმართლე გაზეთების საშუალებით გაეგო ქვეყანას. ამისათვის ჯერ-ჯერობით უხერხულად მიმაჩნია თავის მართლებაზე წერილის გაგრძელება, რადგან არ ვიცი, ვისთანა მაქვს საქმე, ვინ დაყარა ეს ხმები, ანუ სად არიან ისინი. მხოლოდ ვიტყვი ორიოდე სიტყვას: რაც ზემოდ ვსთქვი, ამის მომქმედი მე არა ვარ, ყოველივე ასეთი ხმები სიმართლეს მოკლებულია და კერძო ნიადაგზეა აშენებული. დიაღ, ვამბობ ამას თამამად, ყოველივეს სიმართლით და არა ვისიმე შიშით, კრძალვით.

მართალია, რიცხვთაშორის მეც იმ მოაზრეთა „პარტიას“ ვეკუთვნი, რომელნიც სამართლიანად უარსა ჰყოფენ ყოველგვარ ბატონ-მონობასა, წოდების სხვადასხვაობას და ათასნაირ პრივილეგია—ზედმეტ უფლებიანობას, რომელნიც ხელს უშლიან საკაცობრიო წინსვლას, მაგრამ ჯალათი არა ვარ, რომ ისეთი საზიზღრობა ჩავიდინო, როგორიც არის კაცის კვლა, წვა-დაგვა. და თუ „ვიღაცებს“ დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა, მრავალ-ტანჯულ მუშა ხალხის მძიმე უღლისაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლა სამარცხვინო და ქვეყნის დამღუპველი გონიათ—ეს ჩემი ბრალი არ არის. კარგად დაფიქრდნენ და თავის გულში ნათლად დაინახავენ ყოველივეს.

თუ „ისინი“ ქვეყნის მოკეთენი არიან: ყოველივე მათი მოქმედება თუ სიცრუეზე არ არის აგებული და რაიმე ფაქტები აქვთ ჩემის ბოროტ-მოქმედებისა, თავის ვინაობასთან ერთად აიხადონ ნიღაბი, გამოჩნდნენ სინათლეში.

დეე, უფლებით აღჭურვილმა ხალხმა დაადვას თავისი მიუდგომელი მსჯავრი თითოეულ ჩვენთაგანის ნამუშავარს.

ვთხოვ პატივცემულ „ცნობის-ფურცელსა“ და „მოგზაური“ რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ და ამით სიმართლის გამოკვლევაში დამეხმარონ.

ლევან დადეშქელიანი.

* * *

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

16 სექტემბერი.

პეტერბურგი, 16 სექტემბერი. „რუს“-ი გადმოგვცემს: მაღალს წრეებში დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ლამსდორფი და იმისი ამხანაგი ობოლენსკი თავიანთ თანამდებობას თავს ანებებენო.

სახელმწიფო კანცელარიამ საქმეები განსახილველად მინისტრებს დაუბრუნა, გადასცა ის საქმეებიც, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროში უნდა განიხილონ.

რადგანაც სახელმწიფო სათათბირო მინისტრთა კაბინეტი არსდება, საბუროვის კომისია უნდა მოისპოს. შინაგან საქმეთა სამინისტრო საქალაქო დებულების პროექტს იხილავს.

როგორც ხმა დადის, მინისტრთა კამიტეტის გაუქმება უმაღლეს წრეებში უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი ყოფილა.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

ვარშავა, 15 სექტემბერი. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ პრაგაში ხოლერა აღმოაჩინა. ავად ჯერ მხოლოდ ერთი კაცაა.

მოსკოვი, 15 სექტემბერი. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრებად ამოირჩიეს, არსენიევი, გრაფი გეიდენი, ნაბოკოვი, კუზმინი, კარავაევი, რადიჩევი, ფედოროვი, პეტრუნკევიჩი. მურომცოვი, ოპპელი, რუტცენი, მილიუკოვი და კოვალევსკი.

ბერლინი, 15 სექტემბერი. „კელნიშე-ცეიტუნგ“-ი ამბობს, რომ ინგლის-იაპონიის ახალი ხელშეკრულება შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობს უზრუნველ-ჰყოფს, რადგანაც ახლო მომავალში ამ მშვიდობიანობას ვეღარავინ დაარღვევსო. 13 სექტემბერს იაპონიის ელჩმა ხელშეკრულების ტექსტი წაუკითხა ბიულოვს, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანია ყოველთვის მშვიდობიანობის მოსურნე იყო ხოლმეო.

პარიზი, 15 სექტემბერი. (ჰავასი) რუვიემა და რადოლინმა მაროკკოს საკითხის შეთანხმებაზე ხელი მოაწერეს.

მილანი, 15 სექტემბერი. ბიულოვის დასახვედრად გარეშე საქმეთა მინისტრი ბადენ-ბადენში წავიდა.

ბელგრადი, 15 სექტემბერი. ფიქრობენ, რომ სკუპჩინაში უმრავლესობის შესადგენად ორივე რადიკალური ფრაქცია შეერთდებაო. ახალ კაბინეტში უსათუოდ შევლენ ელჩები—ვენაში—ვუიჩი და რომში—მილოვანოვიჩი.

ბერლინი, 15 სექტემბერი. მაროკკოს რეფორმათა პროგრამაში შემდეგი მუხლებიც შედის: პოლიციის დაწესება, იარაღის კონტრაბანდით გატანის მოსპობა და ფინანსიური რეფორმა. მოსაზღვრე ალჟირის რაიონში, საფრანგეთისა და მაროკკოს შეთანხმებით, განსაკუთრებული პოლიცია უნდა დაწესდეს.

ბერლინი, 15 სექტემბერი, (ვოლფი). მაროკკოს საკითხზე შეთანხმების შესახებ იუწყებიან, რომ სულთანმა მაროკკოში ერთს უცხოელ შუამავალს მიმართა და მოკლე ვადიანი ავანსი სთხოვა იმ პირობით, რომ ვალს მალე გადაიხდის. ამ საქმეში ჯგუფი „გერმანიის ბანკი—სინდიკატიც“ იღებს მონაწილეობას.

პეტერბურგი, 15 სექტემბერი. ვლადივოსტოკის საბირჟო საზოგადოება შორეულ აღმოსავლეთში პორტო-ფრანკოს დატოვების შესახებ შუამდგომლობს; პეტერბურგისა და მოსკოვის ვაჭრები და ნავთის მრეწველები კი მის გაუქმებას თხოულობენ. ფინანსთა სამინისტრო ამის შესახებ ყველა საბირჟო კომიტეტებს შეეკითხა.

ვორონეჟი, 16 სექტემბერი. საბჭომ სასურველად სცნო, რომ ქალაქისა და საერობო თვითმართველობებში საარჩევნო უფლება ქალებსაც მიენიჭოთ.

მოსკოვი, 16 სექტემბერი. ხმები, ვითომც გენერალი სტესელი ნერვებით იყოს ავად, სიმართლეს მოკლებულია.

ლონდონი, 16 სექტემბერი. იტომ „დეილი ექსპრესს“-ის კორესპონდენტს ნება დართო, დეპეშით აუწყოს, რომ ის, იტო, ინგლის-იაპონიის ახალ ხელშეკრულების შეკვრის გამო ძალიან მოხარულია და მადლობას უხდის ინგლისს, რომელიც ომის დროს საუცხოვოდ იქცეოდაო. იტომ განაცხადა, რომ მშვიდობიანობას შედეგად ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება მოჰყვებაო. ამ ვაჭრობასა და მრეწველობაში ყველა ერები მიიღებენ მონაწილეობას.—სავასი, არხიპელაგ სამოსის უმთავრესი კუნძული, 8 სექტემბერს მიწის ძვრისაგან ერთიანად განადგურდა.

კაირი, 15 სექტემბერი. სუეცის არხში ჩაძირულ გემ „ჩატამ“ს აფეთქების დროს ტელეგრაფები გაფუჭდა.

სტამბოლი, 15 სექტემბერი. პატრიარქი იოაკიმე ღია წერილში ემუდარება იერუსალიმის პატრიარქს, იესო ქრისტეს წმ. საფლავის ადგილები არას გზით არ გაჰყიდოს, რადგანაც, სულ ერთია, ამით ფინანსიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდებაო.—სალონიკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მირტოფეს მახლობლად დაუჭერიათ ბულგარელთა რაზმი, რომელსაც ნიკო ლიმოზაროვი მეთაურობდა.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობებით, საკითხი მინისტრთა კაბინეტის შესახებ უკვე გადაწყვეტილია. პირველ მინისტრის თანამდებობასა და კაბინეტის თავმჯდომარეობას ვიტტეს ჩააბარებენ. ამასთანავე ვიტტეს უფლება მიენიჭება, თანაშემწე და დანარჩენი მინისტრები თითონ დანიშნოს.—ვიტტე დეპეშით ბიორკში გაიწვიეს.

ბერლინი, 16 სექტემბერი. გაფიცულ მუშათა უმთავრესმა კომიტეტმა გადასწყვიტა კონფლიქტის მოსაწესრიგებლად სამრეწველო სასამართლოს მიმართოს.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. კავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 . 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10-ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

დან. ამავე პირობებით განისაზღვრება მისი ასეთი თუ ისეთი მიმდინარეობა; მისი ასეთი თუ ისეთი გადაჭრაც უსათუოდ მოქმედობს ამავე ნივთიერ პირობების ავკარგიანობაზე. მაგრამ ეროვნული საკითხის შინაარსი მაინც იდეურია, პსიხოლოგიური, მორალური; ეს ისეთი სფეროა, სადაც ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის (ერის) სულიერი არსება შეკრულ-შებოჭილია გარეშე ძალებით, მთლად მის სიცოცხლეს ემუქრებიან გაქრობა-მოსპობას. ადამიანთა სულიერი არსება კი გამწარებული შფოთავს და იღწვის თავიდან მოიცილოს ეს გარეშე ძალები, რომ მის არსებას და განვითარებას მიეცეს შესაფერი, ბუნებრივი, ორგანიული ფორმები, რომ მთლად მისი სიცოცხლე ჩამოყალიბდეს სათანადო, ეროვნულ ფორმებში. აი, ამ იდეურ სფერაში ბურჟუაზია შედის თავისი არშინით და უაღრესად სათუთო კითხვებს ზომავს ანგარებით, ანგარიშით, ჩოთქით. ბურჟუაზია თხოულობს კავკასიის ხალხი გადაირჩეს, გადაირჩეს და განაწილდეს ეროვნულ კანის მიხედვით, რომ თვითეულმა აქ მოსახლე ერმა ვიწროდ შემოიფარგლოს თავ-თავისი სამრევლო. გამიჯვნის დროს, რა თქმა უნდა, ყველა ერის ბურჟუაზია ეცდება ფართოდ დაუგდოს კაბდო თავ-თავის ეროვნულ ტერიტორიას. მაგრა კავკასიაში არ მოიპოება ისეთი ტერიტორია, რომ იქ მარტო ერთი ერი ცხოვრობდეს, პირიქით, ერები ერთმანეთში არიან არეულნი და გადაბმულნი. როგორ მოხდება მათი განაწილება, როგორ მოეწყობა მათი შინაური ცხოვრება? ბურჟუაზია გვისახელებს კრიტერიუმად და სახელმძღვანელოდ უმრავლესობის პრინციპს. ყოველ განსაზღვრულ ეროვნულ ტერიტორიაზე უფალი და ბატონი იქნება ის ერი, რომელიც შეადგენს უმრავლესობას, ხოლო დანარჩენები კი, რაც უნდა დიდ უმცირესობას შეადგენდნენ, რასაკვირველია, იქნებიან „დაბალი ლობე“, დაბალი, პატარა ოჯახი, მაღლის., დიდ ოჯახის ფრთეთა ქვეშ შეფარებული. აქაო—გვეფიცებიან—ადგილი არ ექნება პატრონობა-დამჩაგვრელობას, რადგან უფლება აღდგენილ, დაჩაგრულ ერს ყოველთვის ეხსომება, თუ რა ძნელია, რა აუტანელია და შეუწყნარებელი ერთის ერისაგან მეორის ჩაგვრა, ამიტომ იგი იქნება უმცირესობისადმი ყოველთვის გულ-კეთილი, ლმობიერი და შემწყნარებელი. ამასთანავე, თვითეულ მომიჯნე ერს სულგრძელობით უფლება ეძლევა, სრული უფლება, ისე მოაწყოს თავისი საქმეები, როგორც საკუთარი სული და გული სთხოვდეს და, თუ ვერ მოახერხებს სურვილისამებრ მოაწყოს თავისი სვე-ბედი, თავშიამც ქვა უხლია! ყველა თავის თავისთვის, ღმერთი ყველასათვის!

აი, ასეთ ლათაიებს ეძლევიან, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის მწარე გამოცდილებით ვიცით, როცა დაჩაგრული დგება დამჩაგვრელის ადგილას, მჩაგვრელობა, ბატონობის პირობებში, ერთი-ორად უფრო სასტიკია და უწყალო, ვიდრე გუშინდელი ბატონი; ასეთ ლათაიებს ეძლევიან, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ კავკასიის ერს ცალკე, საკუთრივ არ, გააჩნია იმდენი ძალ-ღონე, რომ მან რაიმე შესამჩნევი ნაბიჯი გადადგას ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში; ასეთი ლათაიები გააქვთ და გამოაქვთ მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ერები მძლავრად ვართ ერთმანეთში გადაბმულ-გადაჯაჭვულნი და ჩვენი ეკონომიური, სოციალურ—პოლიტიკური ინტერესები საერთოა და განუყოფელი. ბურჟუაზია კი ყველა ამას ვერ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს, რადგან მისი ერთად ერთი გასახედი დურბინდია ყოველ-დღიური საანგარიშო ჩოთქი.

ამგვარად, ჩვენი ბურჟუაზია, რამდენადაც იგი ეხება ეროვნულ საკითხს, იმდენად სტოვებს პროგრესიულ, დემოკრატიულ გზას და თამაშობს წმინდა რეაქციონურ როლს. ამ შემთხვევაში იგი მიუცილებლად ვნებს და წინ ეღობება საქვეყნო საქმეს, მაგრამ აქ მაინცდამაინც ბევრი არავერია სამწუხარო და თავში საცემი. დღეს საერთო მოძრაობა იმდენად ძლიერია, იგი ისე გარკვევითა და გადაჭრითა სდგას სწორს, პირდაპირ გზაზე, რომ ბურჟუაზიის უგზო-უკვლობა, მას ვერ გადაახვევინებს ამ გზას; უნიადაგო, უტოპიური მისწრაფებანი განიბნევიან ქაღალდის ხუხულასავით, და თვით ბურჟუაზიიც, კი ჩათრეული საერთო მიმდინარეობით, უსათუოდ შეიტანს თავის წვლილს დღევანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

რაც შეეხება ოდესღაც დამოუკიდებელ მწარმოებელთ, ნახევრად გაპროლეტარებულ ხელოსნებს, დღეს ესენი შეგნებულად თავ-დავიწყებით უერთდებიან იმ კლასს, ვისთანაც იგინი მიიყვანა თვით ისტორიის ულმობელმა განვითარებამ; იგინი მძლავრად ხელს აძლევენ თავის ჭირისა და ლხინის ჭეშმარიტ თანამოზიარეთ, იგინი ილესებიან პროლეტარების პარტიაში და ამხნევებენ თანამოძმეთ,—უფრო მაღლა ასწიონ პროლეტარიატის დროშა!

ვლ. დარჩიაშვილი

Дозволено цензурою' Тифлисъ, 16 Сентября 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.